ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 12 მაისი, 2016 №111 (7037) ფასი: 50 თეთრი

ხიდაშელი: „ამ მიწაზე არასოდეს იქნება ხელისუფლება, რომელიც ოკუპაციას შეეგუება“

გვ.3

12 მაისიდან

ტიმ სევერინი

იასონის მოგზაურობა

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

დატოვებს თუ არა უსუფაშვილი რესპუბლიკური პარტია

გვ.2

რესპუბლიკელები მარგველაშვილის და ალასანიას წინააღმდეგ

გვ.5

კვირიკაშვილი: „თანამშრომლობას დასავლეთთან ალტერნატივა არ აქვს“

„მთავრობაში ცვლილებები აუცილებლად იქნება“

გვ.3

შოთა მალაშხია: „ნიშნიანიძე და მეჭიაური ამბობენ იმას, რაც ივანიშვილს უნდა“

გვ.4

„რესპუბლიკელების პროტესტი პრაგმატულ-კარიერისტულ მიზნებს უკავშირდება“

გოგი თოფაძე: „ირმა ინაშვილთან კოალიცია შესაძლებელია“

გვ.4

„ბიძინა რამდენიმე თვეა, არ მინახავს“

ვახტანგ მაისაია: „საქართველო ცივი ომის ფრონტის ხაზზეა“

გვ.3

„ნატოს წვრთნები ქართული ჯარის თავდაცვისუნარიანობას აამაღლებს“

ეკა ზღულაძე გადადგა

გვ.2

ISSN 1987-9385

დატოვებს თუ არა უსუფაშვილი რესპუბლიკურ პარტიას

შორენა მარსაგიშვილი

რესპუბლიკელები მარგველაშვილის და ალასანიას წინააღმდეგ

რესპუბლიკელებს აშკარად ცუდი პერიოდი უდგათ. აქამდე თუ თოფაძე-მეჭიაურთან უწევდათ ბრძოლა, ახლა მედასავლეთე გიორგი მარგველაშვილსა და ირაკლი ალასანიასაც შეებნენ.

მათ მდგომარეობას სხვა ფაქტიც ართულებს. გავრცელებული ინფორმაციით, პარტიის შიგნითაც დაიწყო არეულობა. ინციდენტი პარტიის ეროვნული კომიტეტის სხდომაზე რამდენიმე დღის წინ მოხდა.

ასეთ ინციდენტს მარტის ბოლოსაც ჰქონდა ადგილი. ეს მაშინ მოხდა, როცა რესპუბლიკელებმა კოალიციიდან გასვლა გადაწყვიტეს. მაშინ საუბარი იყო იმაზე, რომ რესპუბლიკელ მინისტრებს თანამდებობები უნდა დაეტოვებინათ. ეს პოზიცია მინისტრებმა არ გაიზიარეს, განსაკუთრებით თინა ხიდაშელი გაჯიუტებულა. როგორც ამბობენ, ამის შემდეგ ძმებ ბერძენიშვილებსა და რესპუბლიკელ მინისტრებს სიტუაცია დაეძაბათ.

კომიტეტს ხიდაშელის და თამაზ მეჭიაურის დაპირისპირება უძღოდა წინ. დეპუტატმა ქართულ-ამერიკული სამხედრო წვრთნები გააპროტესტა, რასაც ამირსპასალარის მხრიდან ქოქოლა მოჰყვა.

მართალია, ხიდაშელმა კანონმდებელს პოლიტიკური წყევლა-კრულვა არ დაუკლო და ლამის ამერიკული ტანკით მიუხტა სახლში, ძმებმა ბერძენიშვილებმა ეს არასაკმარისად მიიჩნიეს.

მათ გიგლა აგულაშვილს, პაატა ზაქარეიშვილს და თინა ხიდაშელს პროტესტის ნიშნად თანამდებობების დატოვება მოსთხოვეს. „პირველი რადიოს“ ინფორმაციით, ძმებმა გადადგომისკენ დავით უსუფაშვილსაც მოუწოდეს.

პარლამენტის თავმჯდომარე ამ ულტიმატუმით ძალიან აღშფოთებულა და უთქვამს, რომ თანამდებობას არავინ დატოვებდა.

უსუფაშვილის წინააღმდეგობას, წყაროს ინფორმაციით, ბერძენიშვილების მხრიდან ხმამაღალი საუბარი მოჰყვა.

უსუფაშვილთან რომ ვერაფერს გახდა, კომიტეტიდან სხდომიდან გასული დავით ბერძენიშვილი თამაზ მეჭიაურს დაესხა თავს სიტყვიერად. ამის გამო მან კვირიკაშვილისგან შენიშვნა მიიღო.

კომიტეტის სხდომაზე კიდევ ერთი საინტერესო ამბავი მოხდა. ძმებს და მათი პოზიციის ნაწილობრივ მოზიარე ზაქარეიშვილს უსუფაშვილმა რამდენიმე წლის წინანდელი ამბავი გაახსენა.

უსუფაშვილის თქმით. მაშინ, როცა კოალიცია შეიქმნა, ივანიშვილმა მას პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეობა შესთავაზა, რაზეც სპიკერმა უარი განაცხადა. თინა ხიდაშელის თანამეცხედრე ამტკიცებს, რომ მან ივანიშვილის შეთავაზება არ მიიღო, რათა პარტიის დაშლა აეცილებინა თავიდან.

რესპუბლიკელებში მომხდარი დაპირისპირება „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარემ, ნიკოლოზ მჟავანაძემაც დაუდასტურა. მისი ინფორმაციით, ეს იყო სერიოზული დაპირისპირება და ის მომავალშიც გაგრძელდება.

– ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა მათ შორის დაპირისპირება ხდება. გაგებული მაქვს, რომ უსუფაშვილს აღარ სურს ბერძენიშვილებთან ერთ პარტიაში ყოფნა. არ არის გამორიცხული, ის მართლა წამოვიდეს ამ პარტიიდან, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში მჟავანაძემ.

ხმები უსუფაშვილის პარტიიდან შესაძლო წასვლის შესახებ ცოტა ხნის წინაც გავრცელდა. როდესაც რესპუბლიკელებმა კოალიციიდან გასვლის შესახებ განცხადება გააკეთეს, „ოცნებაში“ დავით უსუფაშვილის გადაბირებაზე დაიწყეს საუბარი.

„ახალ თაობას“ მაშინ პარტია „ქართულ ოცნებაში“ დაუდასტურეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უსუფაშვილის გადაბირებას მართლა აპირებდნენ. როგორც ისინი კულუარულ საუბარში აცხადებდნენ, ეს დირექტივა ივანიშვილის მიერ გაიცა. ივანიშვილს პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ დადებითი განწყობა აქვს. ეს პოზიცია მას არაერთხელ აქვს დაფიქსირებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ სხვა რესპუბლიკელებისგან განსხვავებით, უსუფაშვილის მიმართ ნაკლები აგრესიაა. მის მიმართ ყველა პატივისცემას ამჟღავნებს.

– უსუფაშვილი არ არის ისეთი აგრესიული და ანტიეროვნული, როგორც სხვა რესპუბლიკელები. იმ განცხადებებსაც, რაც აქამდე გაუკეთებია, იმიტომ აკეთებს, რომ ამ პარტიის წევრია, ის სხვანაირად აზროვნებს. არ იქნებოდა ცუდი, თუ ის მომავალ პარლამენტში კვლავ მოხვდება, ოღონდ უკვე „ქართული ოცნების“ სიით, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ხელისუფლებასთან დაახლოებულმა წყარომ.

მისივე განცხადებით, უსუფაშვილი ჭკვიანი ადამიანია და კარგად ხვდება, რომ რესპუბლიკელებთან ერთად მომავალი არ აქვს. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ბედი სხვაგან სცადოს.

◆ ◆ ◆

საქართველოში, რესპუბლიკელების გარდა, ყველა აღიარებს, რომ ისინი მომავალ პარლამენტში დამოუკიდებლად ვერ მოხვდებიან. ბოლო პერიოდში არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისინი ალასანიასთან შექმნიდნენ ალიანსს. იმასაც ამბობდნენ, რომ ისინი გიორგი მარგველაშვილსაც კარგად გაუგებდნენ. ამ დღეებში კი აღმოჩნდა, რომ მათ მედასავლეთე ძალებთანაც აქვთ პრობლემები.

გიორგი მარგველაშვილი რესპუბლიკელებზე აქამდე არაფერს ამბობდა, ორიოდე დღის წინ კი მათ ძველი ცოდვები გაუხსენა და პრინციპების ღალატში დასდო ბრალი. კოალიციაში არსებულ დაპირისპირებაზე მან ძალიან საინტერესო კომენტარი გააკეთა.

– ამ პოლიტიკურ გუნდთან მიმართებაში, ჩემთვის სერიოზული განსხვავებები ამ პოლიტიკურ ფიგურებს შორის არ არის იმიტომ, რომ იგივე პოლიტიკური პარტიებისა და ფრაქციების წარმომადგენლები უნისონში საუბრობდნენ პრეზიდენტის ინსტიტუტის შესუსტების თაობაზე, პრეზიდენტის მმართველობის დისკრედიტაციის თაობაზე.

საუბრობდნენ იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტის როლი მხოლოდ პანაშვიდებზე სიარულია, იმის თაობაზე, რომ თურმე, როდესაც პრეზიდენტი მოიწვევს პარლამენტის სხდომას, ტელევიზიით უნდა მოუწოდო დეპუტატებს, ნუ დაუჯერებთ პრეზიდენტს და ნუ მიხვალთ იმ სხდომაზე იმიტომ, რომ დეპუტატი თურმე, პარლამენტში არ უნდა მიდიოდეს პრეზიდენტის დაძახილზე, – განაცხადა მარგველაშვილმა.

მისივე თქმით, ეს არის ის პოლიტიკური გუნდი, რომელიც პრინციპულად უპირისპირდებოდა, როდესაც საუბარი იყო პრეზიდენტის ინსტიტუტის პატივისცემასა და საპრეზიდენტო გამოსვლებზე.

– ეს არის ის გუნდი, რომელიც ხშირად ვერ ხედავდა ჩემს ადგილს საქართველოს პარლამენტში. ეს არის ის გუნდი, როცა „ქართული ოცნების“ დეპუტატი და რესპუბლიკური პარტიის დეპუტატი ერთად უნისონში გმობდნენ პრეზიდენტის ვეტოს ეროვნულ ბანკთან მიმართებაში, რომელიც შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ გააჩერა. ეს არის ის პოლიტიკური გუნდი, რომელიც აბსოლუტურად უნისონში ახერხებდა იმას, რომ პრეზიდენტს შესაბამისი კორესპონდენცია არ მიეღო უცხოეთიდან. ამიტომ, ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ ამ პროცესს, – განაცხადა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა.

თავის ამ ბევრისთვის მოულოდნელ სიტყვაში მან ხაზი გაუსვა, რომ ამ ორწლიან პროცესში პოლიტიკური ფიგურა, რომელთანაც შეძლო ურთიერთობა და კონსტრუქციული დიალოგი, იყო გიორგი კვირიკაშვილი, რომელიც არასდროს კარგავდა სახეს, როგორც მინისტრი და როგორც ვიცე-პრემიერი.

– დანარჩენ ფიგურანტებზე ნაკლებად მინდა ვიმსჯელო, მაგრამ ამ პროცესს აქვს თავისი ისტორია და როდესაც მეთოდურად შენს პრინციპებს ღალატობ, ეს გიბრუნდება უკან, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

მისი განცხადება რესპუბლიკელებს ცუდად მოხვდათ გულზე. ხიდაშელი იმის გამო გადაირია, რომ პრეზიდენტი მის პარტიას მეჭიაურისგან ვერ ასხვავებს.

– მარგველაშვილი რესპუბლიკელებსა და თამაზ მეჭიაურს შორის განსხვავებას თუ ვერ ამჩნევს, ეს თავად პრეზიდენტს უნდა ჰკითხოთ. ჟურნალისტების არქივები საუკეთესო საშუალებაა ყველაფრისთვის. თქვენ შეგიძლიათ ამოიღოთ არქივები, როცა მე გავხდი მინისტრი და პირველსავე დღეს დამისვეს კითხვა, მივიღებდი თუ არა მონაწილეობას პრეზიდენტის საპარლამენტო გამოსვლაში. ნახეთ, და ძალიან გთხოვთ, საზოგადოებას გაახსენოთ. ამ თემაზე პინგ-პონგის თამაშს არ ვაპირებთ, – განაცხადა ხიდაშელმა.

პრეზიდენტის განცხადებას არაკორექტული უწოდა დეპუტატმა ლევან ბერძენიშვილმა.

– თუ ვინმე პრეზიდენტის გვერდით იდგა და ცდილობდა, რომ არ გარიყულიყო ქართული პოლიტიკიდან, ეს დავით უსუფაშვილი იყო. მისი განცხადებები, უბრალოდ, ადამიანურად არასწორია, მაგრამ ასე თქვა და რა ვქნათ. ეს მის ნამუსზე იყოს, – განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

◆ ◆ ◆

ირაკლი ალასანია რესპუბლიკელებმა მის მიერ გაკეთებული განცხადების გამო ამოიღეს მიზანში. ნამინისტრალი ამბობს, რომ ის დამოუკიდებელი იყო, ხოლო თინა ხიდაშელს სხვები უდგენენ დღის წესრიგს.

ამირსპასალარის განცხადებით, ირაკლი ალასანიამ ყველაზე კარგად იცის, რომ ხიდაშელისთვის პოლიტიკური ჩარჩოები არასოდეს არავის დაუწესებია.

მისი თქმით, ეს დადასტურდა მაშინ, როცა კაბელების საქმეზე სამსახურიდან გათავისუფლებულები სამსახურში აღადგინა.

– ირაკლი ალასანიას პრეტენზიები სასაცილოა, სირცხვილია, მაგრამ ალბათ ხანდახან ადამიანები გაუგებარ არჩევანს აკეთებენ. როცა ვსაუბრობთ ქვეყნის უსაფრთხოებასა და თავდაცვისუნარიანობაზე, ერთი წლის განმავლობაში ვისმენდი პრეტენზიებს ყოფილი თავდაცვის მინისტრისგან. მთელი ერთი წელია არ გამიცია პასუხი არც ერთი განცხადებისთვის, რადგან ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს პაექრობა.

ძალიან სამწუხაროა, რომ, როგორც ჩანს, რთულად გასაგებია, რატომ არ გცემენ პასუხს. საჯაროდ მოვითხოვ თავდაცვის ყოფილი მინისტრისგან, წარმოადგინოს პრეტენზიების ნუსხა, თუ სად იყო უკეთესად შესაძლებელი ქვეყნის დაცვა და მე ეს არ გავაკეთე, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მისი თქმით, შეურაცხმყოფელია და სირცხვილია, როცა ასეთი განცხადებები ისმის.

– კიდევ უფრო სირცხვილია, რომ ბატონი ირაკლი ჩაერთო იმ რუსულ პროპაგანდაში, რომელსაც პირდაპირ ცეცხლი აქვს ჩემ წინააღმდეგ გახსნილი და დღეს იგი ხელისმომკიდეს პრინციპით ამ მარათონში მონაწილეობს, – აღნიშნა ამირსპასალარმა.

ეკა ზღულაძე გადადგა

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ, 11 მაისს, უკრაინის შს მინისტრის პირველმა მოადგილემ ეკა ზღულაძემ თანამდებობა დატოვა. ხმები მისი გადადგომის შესახებ რამდენიმე კვირის წინაც გავრცელდა. მაშინ ზღულაძე წასვლას მართლაც აპირებდა, მაგრამ შს მინისტრმა არსენ ავაკოვმა დარჩენაზე დაიყოლია.

რამდენიმე კვირის შემდეგ ზღულაძე მაინც წავიდა. ინფორმაცია მისი გადადგომის შესახებ უკრაინის შს მინისტრმა არსენ ავაკოვმა ფეისბუქის მეშვეობით გაავრცელა.

მინისტრის თქმით, მინისტრთა კაბინეტმა მისი გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება თავად ზღულაძის თხოვნის საფუძველზე მიიღო.

– ეკა მიდის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან. მინისტრთა კაბინეტმა შესაბამისი გადაწყვეტილება მისი თხოვნის საფუძველზე მიიღო. ეკა თავად გააკეთებს განცხადებას. ჭორები საჭირო არ არის, – წერს არსენ ავაკოვი.

მართალია, ზღულაძემ მინისტრის მოადგილის პოსტი დატოვა, მაგრამ მაინც სისტემაში დარჩა.

როგორც უკრაინის შს მინისტრი გვაუწყებს, ზღულაძემ მიიღო მისი წინადადება სამინისტროში რეფორმებზე მომუშავე ჯგუფთან მუშაობის შესახებ, შედეგად იგი მუშაობას სამინისტროში გააგრძელებს და მრჩეველთა სპეციალურ ჯგუფს უხელმძღვანელებს.

ეკა ზღულაძე უკრაინის შს მინისტრის პირველი მოადგილის პოსტს 2014 წლის ბოლოდან იკავებდა. მის სახელს რეფორმები და რამდენიმე სკანდალი უკავშირდება.

რამდენიმე თვის წინ უკრაინის შს ყოფილმა მინისტრმა ვიტალი ზახარჩენკომ ეკა ზღულაძის დაკავების შესახებ გაავრცელა ინფორმაცია.

ნამინისტრალის მტკიცებით, შემთხვევა ბორისპოლის აეროპორტის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე მოხდა. ზღულაძე ფულით სავსე ჩემოდნით ხელში დააკავეს, სადაც 4 მილიონი დოლარი იყო.

ზახარჩენკოს თქმით, ზღულაძე საფრანგეთში მიემგზავრებოდა და განაცხადა, რომ ეს მისი პირადი საკუთრებაა. 4 საათის შემდეგ, მინისტრ ავაკოვის ჩარევის შედეგად, სამართალდამცავებმა ზღულაძე გაუშვეს.

◆ ◆ ◆

გავრცელებული ინფორმაციით, ზღულაძე სააკაშვილის გუნდს ნაწილობრივ გაემიჯნა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ავაკოვთან არ დარჩებოდა სამუშაოდ.

სააკაშვილსა და ავაკოვს შორის რამდენიმე თვის წინ მძაფრი დაპირისპირება მოხდა. უკრაინის შს მინისტრმა ოდესის გუბერნატორს სახეში წყალი შეასხა და თანაც მიაყვირა, ჩემი უკრაინიდან გაეთრიეო.

ამ დაპირისპირებას უკრაინის მთელი მთავრობა და მათ შორის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკოც ესწრებოდნენ. სააკაშვილმა პოროშენკოს ავაკოვის გადაყენება მოსთხოვა. პოროშენკო ავაკოვს არ შეელია და მას უბრალოდ ქმედება დაუგმო.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ხიდაშელი: „ამ მიწაზე არასოდეს იქნება ხელისუფლება, რომელიც ოკუპაციას შეეგუება“

გუშინ, 11 მაისს, ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე ქართულ-ამერიკული სწავლების „ღირსეული პარტნიორი 2016“ გახსნის ოფიციალური ცერემონიალი გაიმართა.

სწავლება ეროვნული გვარდიის სამხედრო-საჩვენებელი ორკესტრის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნების შესრულებით გაიხსნა.

ქართულ-ამერიკული სწავლება „ღირსეული პარტნიორი“ დაიწყო



მოწვეულმა სტუმრებმა და წვრთნებში მონაწილე სამხედროებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საბრძოლო მოქმედებებსა და საერთაშორისო მისიებში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ხსოვნას.

ქართველ, ამერიკელ და ბრიტანელ სამხედროებს სიტყვით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა, გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძე, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ნიკოლას ბერლინერმა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ელჩმა საქართველოში ალექსანდრა ჰოლ ჰოლმა.

ცერემონიას დაესწრნენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. ვაზიანში იმყოფებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი.

◆ ◆ ◆

„ღირსეული პარტნიორის“ გახსნის ცერემონიალი საჩვენებელი სწავლებით გაგრძელდა.

120-მა ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურემ ამერიკული C-130 ტიპის სამხედრო თვითმფრინავებისგან საჰაერო სადესანტო ოპერაცია განახორციელა.

პარაშუტებით დესანტის გადმოსხმის შემდეგ ოცეულის დონის ქვედანაყოფმა, რომლის შემადგენლობაშიც არიან ქართველი, ამერიკელი და ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურეები, ობიექტზე შეტევის ამოცანა შეასრულა, ჩ-130 ტიპის სამხედრო თვითმფრინავიდან კი ერთი მსუბუქად შეჯავშნული სამხედრო მანქანისა და 105-მილიმეტრიანი ჰაობიცის პარაშუტით დესანტირება განხორციელდა.

ტექნიკისა და შეიარაღების ხმელეთზე დაშვების შემდეგ გაიმართა სამხედრო ჰაუბიცის სამხედრო მზადყოფნაში მოყვანა და გასროლა.

„ღირსეული პარტნიორის“ გახსნის ოფიციალური ცერემონია სწავლებაში ჩართული ამერიკული ტექნიკის M1A2 ტიპის ტანკებით და ქვეითთა საბრძოლო მანქანების ჩავლით დასრულდა.

ქართულ-ამერიკული სწავლება „ღირსეული პარტნიორი“ წელს საქართველოში მეორედ ტარდება. ქართულ-ამერიკულ სწავლებაში 1.300 სამხედრო მონაწილეობს, მათ შორის 500 ქართველი, 650 – აშშ-ის არმიის ევროპული სარდლობის და 150 ბრიტანელი ჯარისკაცი.

◆ ◆ ◆

– აქ, ამ მიწაზე არასოდეს იქნება ხელისუფლება, რომელიც ოკუპაციას შეეგუება.

ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა ვაზიანში, სამხედრო სწავლების გახსნის ცერემონიალზე განაცხადა.

ხიდაშელის თქმით, მას აქვს ორი კარგი ამბავი და აქედან ერთი მათგანი არის ის, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი. ამასთან, წვრთნების დასრულების შემდეგ საქართველოს პირველად ეყოლება სერტიფიცირებული ნატოს რეაგირების ძალების შენაერთი.

– მეორე კარგი ამბავი ის არის, რომ ეს ახალგაზრდები, რომლებიც დღეს შემოუერთდნენ ამ სწავლებას, არიან საუკეთესო გზავნილები მტრისთვის და მოყვარისთვის, აგრესორისთვის და პარტნიორისთვის, რომ აქ, ამ მიწაზე არასოდეს იქნება ხელისუფლება, რომელიც ოკუპაციას შეეგუება.

აქ, ჩვენს ქვეყანაში, არასოდეს დახვდებიან აგრესორს გაშლილი დროშებით. საქართველოში სწორედ ეს თაობა უზრუნველყოფს, რომ ჩვენი ევროატლანტიკური არჩევანი ურყევი და შეუცვლელი იყოს. თაობებს გაჰყვება ეს შემართება და საქართველო აუცილებლად გახდება ამ ოჯახის წევრი.

არ არსებობს ძალა, რომელიც ამ კურსიდან გადაგვახვევინებს, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

ვახტანგ მაისაია: „საქართველო ცივი ომის ფრონტის ხაზზეა“

გულიკო ბალაძე

ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე, ქართულ-ამერიკული სამხედრო სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2016-ის“ ჩატარებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ამ საკითხებზე „ახალ თაობას“ ექსპერტი ვახტანგ მაისაია ესაუბრება.

„ნატოს წვრთნები ქართული ჯარის თავდაცვისუნარიანობას აამაღლებს“

– ბატონო ვახტანგ, როგორ აფასებთ ქართულ-ამერიკული სამხედრო წვრთნების ჩატარებას საქართველოში?

– ქართულ-ამერიკული სამხედრო წვრთნების „ღირსეული პარტნიორი 2016-ის“ ჩატარებას დადებითად ვაფასებ. ეს არის ჩვენი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი. აღნიშნული წვრთნები არ არის საშიშროების შემცველი მესამე მხარისთვის. ის დაიგეგმა რამდენიმე თვის წინ. მსგავსი წვრთნები ჩატარდა შარშანაც და შარშანწინაც.

– გამწვავება უსუფაშვილის განცხადებამაც ხომ არ გამოიწვია – სანამ აფხაზეთი და ცხინვალი ოკუპირებულია და დასაბრუნებელი გვაქვს, ქართულ ჯარს თავისი მისია შესასრულებელი აქვსო. ცხადია, ასეა, მაგრამ სამხედრო წვრთნების ფონზე, როდესაც ამერიკული შენაერთი თავისი შეიარაღებითაა შემოსული, რამდენად მიზანშეწონილია მსგავსი განცხადების გაკეთება?

– არა მგონია. კავშირს ვერ ვხედავ. პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა ის, რაც უნდა ეთქვა ნებისმიერ პოლიტიკურ თანამდებობის პირს. მით უმეტეს, საქართველოში. უჩვეულო არაფერი უთქვამს.

– შეფასება იყო, რომ ის არ გამორიცხავს ძალისმიერი გზით ტერიტორიების დაბრუნებას.

– ეს ნებისმიერი ქვეყნის სუვერენული უფლებაა. უსუფაშვილმა თქვა, რომ მას ეს არ უგულისხმია. მან თქვა, რომ საჯარისო შენაერთებმა უნდა შეასრულონ დავალებები გარკვეული დროის განმავლობაში. დავით უსუფაშვილი რჩება მშვიდობისმოყვარე პოლიტიკოსად. მას არ ახასიათებს ქორისებური გამოხდომები.

– რუსეთიც ატარებს წვრთნებს საქართველოს ტერიტორიაზე ცხინვალსა და აფხაზეთში. ახლანდელმა წვრთნებმა განსაკუთრებით გააღიზიანა კრემლი. მან ახალი ბატალიონიც კი შექმნა „დაჯავშნული მუხტის“ სახელწოდებით. მაშინ რამ შეაშფოთა რუსეთი, რომელმაც ოფიციალური განცხადებაც კი გააკეთა?

– წვრთნები ნატოს სულისკვეთებით ტარდება. ამან გააღიზიანა რუსეთი, რადგან ამ ეტაპზე ნატოსა და რუსეთს შორის უკიდურესად დაძაბული ურთიერთობაა. ბუნებრივია, რუსეთი ყველანაირად ცდილობს, რომ ნატოს ეგიდით ჩატარებული წვრთნა აღიქვას, როგორც მის წინააღმდეგ გამართული მტრული ნაბიჯი. შარშან და შარშანწინ ასეთი ფონი არ იყო. წელს დაძაბული ფონია. ზოგიერთი სპეციალისტი და ექსპერტი არ გამორიცხავს ამ ორ გეოპოლიტიკურ აქტიორს შორის სამხედრო შეტაკებასაც.

– მოვლენების ამგვარი განვითარება დასაშვებია?

– სავსებით დასაშვებია. მეც ვიზიარებ ამ მოსაზრებას, რადგან რუსეთმა ცოტა ხნის წინ არაერთი სამხედრო პროვოკაცია განახორციელა. ამიტომ ვითარება საკმაოდ გამწვავებულია.

– საქართველოს უსაფრთხოებისთვის რა მნიშვნელობა აქვს ამ წვრთნებს და ჩვენ როგორ ვჩანვართ ამ სიტუაციაში?

– ჩვენთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი წვრთნებია, რომელიც ნატოს კოალიციურ ჯარებთან ჩვენი ჯარის თავსებადობის მიღწევისთვის აუცილებელი კომპონენტია. წყდება თავდაცვის ტიპის ამოცანები. შეტევითი სცენარები არ არის გათვალისწინებული. ბუნებრივია, ამაღლდება ჩვენი შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის დონე.

ეს აუცილებელია, რადგან ჩვენ ვმონაწილეობთ საერთაშორისო მისიებში. ასევე საქართველოს შეიარაღებული ძალები ხდებიან ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების შემადგენელი ნაწილი.

– ამერიკის შენაერთი და სამხედრო ტექნიკა, რომელიც წვრთნებზე შემოვიდა, საქართველოში დარჩება?

– რა თქმა უნდა, არ დარჩება. ამერიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო ტექნიკა საქართველოში გამოიყენება მხოლოდ წვრთნების ფარგლებში.

– რუსეთი მაინც შფოთავს.

– გართულებული გეოსტრატეგიული ფონია. შესაბამისად, მხარეები ერთმანეთს აღიქვამენ სამხედრო მოწინააღმდეგეებად. მხარის ნებისმიერი გადაადგილება მეორეს მხრიდან საფრთხედ აღიქმება.

– ნატო-რუსეთის შეტაკება სად შეიძლება მოხდეს?

– შეტაკება შეიძლება მოხდეს ბალტიისპირეთში, შავი ზღვისპირეთში.

– ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ამერიკელი გენერლის განცხადებაც, თუ რუსეთთან თავშეკავების პოლიტიკამ არ იმოქმედა, ვიბრძოლებთო?

– ორივე მხარე სამხედრო რიტორიკას იყენებს ფართო მასშტაბით. ნატოელები თვლიან, რომ ეს რუსეთის აგრესიული სამხედრო პოლიტიკის შედეგია. შესაბამისად, ის უკან არ დაიხევს. არც ნატო და არც რუსეთი უკან დამხევი არ არიან.

– საქართველო ამ ფონზე რა ვითარებაშია?

– საქართველო და უკრაინა ცივი ომის ფრონტის ხაზზეა.

– როგორ აფასებთ ზოგიერთი პოლიტიკოსის შეშფოთებას ნატოს წვრთნებთან დაკავშირებით?

– მათ არ გააჩნიათ საკმარისი სამხედრო ცოდნა. წვრთნები თავისი შინაარსით თავდაცვითი ტაქტიკური ამოცანების შესრულებისთვის ტარდება.

კვირიკაშვილი: „მთავრობაში ცვლილებები აუცილებლად იქნება“

შორენა მარსაგიშვილი

უკვე რამდენიმე თვეა, რაც საქართველოს მთავრობაში კარუსელი არ დატრიალებულა. მედია და ექსპერტები უკვე კარგა ხანია აანონსებენ ცვლილებებს. ერთ-ერთი ვერსიით, რამდენიმე მინისტრს 10 მაისს უნდა დაეტოვებინა თანამდებობა. ეს ინფორმაცია იმ დღესვე უარყვეს მთავრობის ადმინისტრაციაში.

ამ უარყოფის მიუხედავად, ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები ჯიუტად ამტკიცებენ, რომ ცვლილებები იქნება. ისინი კონკრეტულ გვარებსაც ასახელებენ.

გავრცელებული ინფორმაციით, სამთავრობო გუნდს რესპუბლიკელი მინისტრები დატოვებენ. მათ ბედს რამდენიმე სხვა მინისტრიც გაიზიარებს, ზოგიერთ მათგანს კი გადააადგილებენ.

სახელისუფლებო კულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაციით, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანი დაიკავებს.

ქართული დიპლომატიის მოქმედი მამა მიხეილ ჯანელიძე გადაინაცვლებს ეკონომიკის სამინისტროში. ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ფინანსთა სამინისტროში წავა.

მოქმედი ფინანსთა მინისტრის ბედი ჯერ გაურკვეველია და, როგორც ამბობენ, ის შესაძლოა „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში ვიხილოთ.

მოსალოდნელ ცვლილებებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გუშინ, 11 მაისს, გამოეხმაურა. ის სამთავრობო ცვლილებებს არ გამორიცხავს. ამასთან ამბობს, რომ სამთავრობო ცვლილებები უახლოეს მომავალში არ იგეგმება.

– თუმცა ჩვენ შევდივართ წინასაარჩევნო პერიოდში და, რა თქმა უნდა, ცვლილებები გამორიცხული არ არის, – ამბობს პრემიერი.

რამდენიმე დღის წინ მას პაატა ზაქარეიშვილი მწარედ შემოეკრიტიკა. ამასაც გარკვეული ჭორები მოჰყვა და ზოგიერთი დეპუტატი ამტკიცებდა, შერიგების მინისტრი გადადგებაო.

გიორგი კვირიკაშვილი პაატა ზაქარეიშვილის კრიტიკაში ტრაგიკულს ვერაფერს ხედავს. მისი თქმით, მინისტრთა კაბინეტში ხელმძღვანელი არის პრემიერ-მინისტრი, რომელსაც აქვს სრული უფლება, კაბინეტის ამა თუ იმ წევრს მიუთითოს ამა თუ იმ განცხადების თაობაზე.

– კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ატეხილია აბსოლუტურად უაზრო ალიაქოთი. ეს უადგილო განცხადებები აზრს მოკლებულია. მე არ გამიკვირდებოდა ასეთი განცხადებები პოლიტიკური ლიდერებისგან, ჩვენი ოპონენტი პარტიების წევრებისგან, მაგრამ მინისტრთა კაბინეტის წევრების-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

შოთა მალაშხია: „ნიშნიანიძე და მეჭიაური ამბობენ იმას, რაც ივანიშვილს უნდა“

მარიამ მჭედლიშვილი

პარლამენტის უმრავლესობისა და უმცირესობის დეპუტატების – ომარ ნიშნიანიძისა და შოთა მალაშხიას უთანხმოება გრძელდება. ომარ ნიშნიანიძე ამბობს, რომ 2008 წელს სააკაშვილმა ავანტიურა მოაწყო, რომელსაც ადამიანები შეეწირნენ. იგი მზადაა, თუ საჭირო გახდა, ამ თემაზე მოპასუხე იყოს სასამართლოშიც. ნიშნიანიძე დარწმუნებულია, რომ თუ ამის გამო მას უჩივლებენ, სასამართლო ნაცმოძრაობის გასამართლებით დასრულდება.

ომარ ნიშნიანიძის შემდეგ, „ახალი თაობა“ ამ საკითხებზე ესაუბრა ქრისტიანულ-კონსერვატიული პარტიის ლიდერს, დეპუტატ შოთა მალაშხიასაც.

„პასუხს მარტო ნიშნიანიძეს კი არა, მთელ „ქართულ ოცნებას“ მოვთხოვ“

შოთა მალაშხია:

– ომარ ნიშნიანიძე მიხვდა, რომ არასწორი და უგუნური განცხადებები გააკეთა. ამიტომ, იგი ახლა ათას რამეს ამბობს. 2016 წელია და როგორ შეიძლება ვინმეს კიდევ ეჭვი ეპარებოდეს იმაში, თუ ვინ დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი? შეიძლება 2008 წელს ყველა არ იყო ინფორმირებული, მაგრამ ახლა ხომ ყველაფერი ცნობილია! გარდა ამისა, რუსეთმა ღია აგრესია ჩაიდინა უკრაინაში. ამის გამო რუსეთი რვიანიდან გარიცხეს, მას დაუწესდა სერიოზული ეკონომიკური სანქციები.

მსოფლიო ხედავს, რომ პუტინი საბჭოთა კავშირის აღდგენას ცდილობს. 2008 წელს რუსეთმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ეთნოწმენდა. ეს საზღვარგარეთ იციან, მაგრამ ნიშნიანიძე და მისთანები ამტკიცებენ, თითქოს ეს ომი საქართველომ დაიწყო. ეს არის ანტისახელმწიფოებრივი აზროვნება და მოქმედება.

ჩვენი კამათი ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში მოჰყვა ნიშნიანიძის თანაგუნდელის, თამაზ მეჭიაურის ცნობილ განცხადებებს. მეჭიაურის გამო პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილს მოუხდა თავის მართლება. ნიშნიანიძე ისეთ რამეს ამბობს, რომ შეიძლება ამის გამოც მოუხდეს გიორგი კვირიკაშვილს განმარტებები.

– თამაზ მეჭიაურზე ითქვა, რომ ის თავის პირად მოსაზრებებს გამოთქვამს.

– მეჭიაურიც, ნიშნიანიძის მსგავსად, პრორუსულ განცხადებებს აკეთებს. ყველაზე საშინელება ისაა, რომ რუსული პოლიტიკის მიმდევარი „ქართულ ოცნებაში“ მარტო ეს ორი კაცი არაა.

– სხვებიც ასე ფიქრობენ? მეჭიაურის გამოსვლებს კოლეგები გაემიჯნენ.

– არა. სინამდვილეში, ესაა „ქართული ოცნების“ ნამდვილი სახე და პოლიტიკა, რომელსაც ის ატარებს. აქ მეჭიაური და ნიშნიანიძეა, იქ – ენერგეტიკის მინისტრი კალაძე, რომელიც ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებდა რუსულ გაზპრომთან. ყველაფრის თავი და თავი კი ივანიშვილია. ისაა გაზპრომის მეწილე, რუსი ოლიგარქი და რუსეთის ინტერესების მთავარი გამტარებელი. მას პრემიერად ყოფნის დროს ბევრჯერ გამოუხატავს პრორუსული განწყობები. ნიშნიანიძე და მეჭიაური ამბობენ იმას, რაც ივანიშვილს უნდა.

– ომარ ნიშნიანიძეს უჩივლებთ?

– სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მთელ „ქართულ ოცნებას“ და არამარტო ამ გამონათქვამებისათვის. ეგ პოლიტიკოსები ხალხს ჰპირდებოდნენ, ქართველობას დაგიბრუნებთ, ეკონომიკას ავაყვავებთ, დემოკრატიით ევროპასაც გავაოცებთო. იყო სხვა კონკრეტული დაპირებები. ყველაფერი, რაც კეთდება, ამ შეპირებების საწინააღმდეგოა. ეს ხდება რუსეთის ინტერესების გატარების ფონზე. ასეთი სამარცხვინო ხელისუფლება საქართველოს არ ჰყოლია. ყოველივე ამისთვის „ქართული ოცნება“ პასუხს აგებს და გასამართლდება. ამ ხალხის მმართველობა მალე დასრულდება.

– „ქართული ოცნება“ ამბობს, რომ მალე ნაცმოძრაობის დრო დამთავრდება. ამას ხელს უწყობს ნაცმოძრაობის დაშლა.

– ნაციონალური მოძრაობის წევრი არ ვარ. ამიტომ, არ ვიცი, პარტიის შიგნით რა ხდება. იმაში კი ვარ დარწმუნებული, რომ ერთი ადამიანის ან თუნდაც ჯგუფის გამოსვლით პარტიას არაფერი დააკლდება. მთავარია, რომ ნაცმოძრაობა არ გადაუხვევს პროდასავლურ, ანტიიმპერიულ კურსს.

– საგარეო კურსისა და თამაზ მეჭიაურის გამო, „ქართულ ოცნებას“ რესპუბლიკელებიც მწვავედ აკრიტიკებენ.

– რესპუბლიკელები ამას პრაგმატულ-კარიერისტული მიზნებით აკეთებენ. რეალურად, რესპუბლიკურ პარტიასა და „ქართულ ოცნებას“ შორის იდეოლოგიური უთანხმოება არ არსებობს. რესპუბლიკელი მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი ისეთ განცხადებებს აკეთებდა, რომ ისინი არაფრით არაა ბოლოდროინდელ პრორუსულ განცხადებებზე უკეთესი. რესპუბლიკელებსაც მოეთხოვებათ პასუხი იმაზე, რასაც ეს ხელისუფლება აკეთებდა და აკეთებს. მაგალითად, პასუხი იმაზე, რომ გრუს თანამშრომლები პოლიტპატიმრებად შერაცხეს. ისინი ახლაც არიან თანამდებობებზე.

„რესპუბლიკელების პროტესტი პრაგმატულ-კარიერისტულ მიზნებს უკავშირდება“

– ანუ არ მოელით, რომ რესპუბლიკელები თანამდებობებს დატოვებენ და ახალ საპარლამენტო უმრავლესობას შექმნიან?

– რესპუბლიკელები არჩევნებამდე იქნებიან თანამდებობებზე. რაც შეეხება უმრავლესობის დაშლას და ახალი უმრავლესობის შექმნას, ამისთვის დრო აღარ რჩება. ეს პარლამენტი მალე დაამთავრებს თავის საქმიანობას. თუ პრემიერს მინისტრების შეცვლა უნდა, ის ამას ისედაც მოახერხებს.

გოგი თოფაძე: „ირმა ინაშვილთან კოალიცია შესაძლებელია“

ნონა ცაბაძე

ბოლო პერიოდის პროცესებზე „ახალი თაობის“ კითხვებს მრეწველების ლიდერი, გოგი თოფაძე პასუხობს.

– ბატონო გოგი, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, პოლიტიკური სიტუაციაც იძაბება. „ოცნების“ მიმართ კრიტიკულად გამოდიან რესპუბლიკელებიც და პრემიერს საყვედურობენ, თავის დროზე რატომ არ დადგა დღის წესრიგში თქვენი და მეჭიაურის კოალიციიდან გარიცხვის საკითხი.

– ვინ ეკითხება რესპუბლიკელებს, თოფაძე სად იქნება. თოფაძე თავისუფალი კაცია, როცა უნდა, წავა, როცა უნდა, დარჩება, როცა უნდა, სხვას მოიყვანს თავის მაგივრად. ვინ უჯერებს მაგათ. ახლა ეგენი აგონიაში არიან. ვეღარ წამოეკიდებიან კოალიციას. ხან ნაცმოძრაობას ეკიდებოდნენ, ხან მოქალაქეთა კავშირს და ყოველთვის ასე ხვდებოდნენ პარლამენტში. რა მნიშვნელობა აქვს მაგათ ლაპარაკს? დადგნენ და რამდენიც უნდათ, იმდენი ილაპარაკონ!

– ამით არაფერი შეიცვლება?

– რასაკვირველია, არ შეიცვლება. ვის შეუძლია, რომ დამაძალოს, ან მომთხოვოს, რომ დავტოვო პარლამენტი?! მე მაგათსავით სატელიტი კი არა ვარ. აგონიაში არიან და აღარ იციან, რა თქვან.

– გადაწყვიტეთ უკვე, რას აპირებთ? მარტო გახვალთ არჩევნებზე თუ ახალი კოალიცია შეიქმნება?

– ჯერ დრო ბევრი გვაქვს. 8 ივნისამდე საკმარისი დროა. ასე შეთანხმდნენ პრეზიდენტი და პრემიერი, ამ დროისთვის ჩვენ უკვე ჩამოყალიბებული ვიქნებით, რა და როგორ, ვის კანდიდატურას სად დავაყენებთ. ძალიან ბევრი მსურველია, რომ ჩვენი სახელით იყაროს კენჭი და ჩვენ ავარჩევთ კანდიდატებს. გეტყვით იმასაც, რომ გუშინ საღამოსაც ძალიან საინტერესო ახალგაზრდა კაცი იყო მოსული, რომელსაც ჩვენი პარტიით უნდა იყაროს კენჭი და ის წამოსულია სხვა პარტიიდან.

– რომელი პარტიიდან, არ გაგვიმხელთ?

– საიდან მოდის, ჯერ მაგაზე საუბარს თავი დავანებოთ. ფაქტია, რომ მოდის და ჩვენი ხედვები უფრო მოსწონს. ძალიან ბევრი ახალგაზრდობა მოდის, რადგან ყველა ხედავს, რომ ჩვენ უფრო ქართული ორიენტაციის გუნდი ვართ.

„ბიძინა რამდენიმე თვეა, არ მინახავს“

რესპუბლიკელები რომ გვაბრალებენ, რუსეთუმეებიო და თვითონ მაგათ ვინ აფინანსებს და როგორ ფინანსდებიან, ეს ცალკე თემაა. ჩვენ ჩვენი ძალებით ვმოქმედებთ და დასამალიც არაფერი გვაქვს. ადრე 7%-იანი ბარიერი იყო და არ გვიჭირდა, ახლა 5%-იანი იქნება და ჩვენთვის უფრო მარტივი იქნება. არანაირი პრობლემა არ გვაქვს, ჩვენ ვიცით ხალხის განწყობა.

– ახალი კოალიცია შეიქმნება?

– ჯერ არ გადაგვიწყვეტია. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ვინმესთან ერთად ბლოკში გავერთიანდეთ.

– საუბარი იყო, რომ ირმა ინაშვილის პარტიასთან ერთად შექმნით საარჩევნო ბლოკს. ასე იქნება?

– რა თქმა უნდა, შესაძლებელია, ასეც იყოს. ძალიან კარგად მიდიან ეგენიც, ძალიან კარგი პოზიცია აქვთ.

– თუკი რესპუბლიკელები სერიოზულ ოპოზიციაში წავლენ, მოუწევთ მათ მინისტრებს გადადგომა?

– მე არ ვწყვეტ ამ საკითხებს. ჩემი არც ერთი აქტივისტიც კი არც ერთ სამინისტროში რიგით თანამდებობაზეც კი არ არის. ჩვენ არ ვიბრძოდით იმისთვის, რომ მაინცდამაინც დაგვეკავებინა განსაკუთრებული პოსტები. ეს მთავრობის გადასაწყვეტია. რა თქმა უნდა, ნონსენსია,

„ვინ ეკითხება რესპუბლიკელებს, თოფაძე სად იქნება?!“

ოპოზიციაში არიან და მინისტრის პორტფელები აქვთ. ამას პრემიერი გადაწყვეტს.

– ნაციონალები აცხადებენ, რომ გოგი თოფაძე და თამაზ მეჭიაური ბიძინა ივანიშვილის განწყობას ახმოვანებენ. სხვანაირად მათ არ მიეცემოდათ უფლება ასეთი მკვეთრი განცხადებების კეთებისო. ასეა?

– ეგენი ცნობილი პროვოკატორები არიან. ბიძინა არ მინახავს უკვე რამდენიმე თვეა! ჯერ ერთი, მე ამ კაცთან მაქვს დიდი ხნის ურთიერთობა, საქმიანი, თუნდაც ბიზნესი და მე რომ ბიძინა ვნახო, ჩვენ სულ სხვა საკითხებზე ვილაპარაკებთ და არა მარტო პოლიტიკაზე, თუმცა კარგა ხანია, არ მინახავს.

მეჭიაური საკმაოდ ვაჟკაცურად ლაპარაკობს და აფიქსირებს თავის პოზიციას. ნაციონალებმა თავის თავს მიხედონ. მაგათი პოლიტიკაში მოსვლა აბსტრაქტულად შეიძლება ვინმემ წარმოიდგინოს. მათ საერთოდ აღარ აქვთ ხალხის ნდობა. ვერ მოვლენ, რაც უნდა დიდი დახმარება ჰქონდეთ დასავლეთიდან! ამიტომ, რაც უნდათ, ის ილაპარაკონ. გადახედეთ მათ ბიოგრაფიას და თუ რამე სასიკეთო გაუკეთებიათ საქართველოსთვის, მითხარით, მეც ვიცოდე.

ეგენი ვეღარ შეძლებენ ხალხის მოტყუებას. ისედაც ამდენი წელი ატყუეს, ნატოში შევალთ, ევროკავშირში შევალთ. შევედით?! სწორედ ამას ამბობს მეჭიაური და ამ ყველაფერს პირდაპირ და

ვაჟკაცურად ლაპარაკობს.

– საუბარია, რომ თქვენ და მეჭიაურიც ეწინააღმდეგებით ამ კურსს, რასაც ჰქვია ნატო და ევროკავშირი. ასეა?

– ათი წელია, ამას ვლაპარაკობ. როცა ნათელი გახდა, რომ ნაციონალები იტყუებიან, აი, მაპს მოგვცემენ, ნატოში შევალთ, ხომ ცხადი გახდა, რომ გვატყუებდნენ. მეც არაერთხელ შევხვედრივარ ნატოს წარმომადგენლებს და მათი პოზიცია ჩემთვის თავიდანვე ნათელი გახდა.

– რომელ პოზიციაზე საუბრობთ?

– ჩვენი მთავარი სატკივარი ტერიტორიების დაბრუნებაა, მათ კი ძალიან მისახვედრად გვითხრეს, ამ საკითხში ვერ ჩავერევითო. მათი ბევრი ლიდერის განცხადება მოვისმინეთ, შემდეგ კი აპატურაის, რომელმაც პირდაპირ გვითხრა, რომ ვერ მიგიღებთ, არ მიგიღებთ, ისევ თქვენივე უსაფრთხოებისთვის, იმიტომ, რომ აგრესიული მეზობელი გყავთ, რომელიც ამას არ დაუშვებს. მეტი რა უნდა თქვას, მეტი გასაგებად როგორ გვითხრან, რომ არ მიგვიღებენ?!

ირაკლი კობახიძე: „პაატა ბურჭულაძე ნაციონალური მოძრაობის სატელიტია“

პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, „საქართველოს განვითარების ფონდის“ ხელძღვანელი პაატა ბურჭულაძე ნაციონალური მოძრაობის სატელიტია.

მისი თქმით, ოზურგეთში, შუალედურ არჩევნებზე, ნაციონალებმა და ბურჭულაძემ კანდიდატი ერთობლივად წარადგინეს და საარჩევნო კამპანიასაც ერთობლივად აწარმოებენ.

– კანდიდატი ერთობლივად იქნა შერჩეული მათ მიერ. ჩვენ ვხედავთ, როგორ თანამშრომლობენ კონკრეტული პარტიები. ნაციონალურ მოძრაობას ჰყავს სატელიტი პარტიები. ეს არის აშკარა, ცხადი და კონკრეტული ფაქტებით დასტურდება. ნებისმერი თანამშრომლობა ნაციონალურ მოძრაობასთან ძალიან მძიმე შეფასებას იმსახურებს, – განაცხადა კობახიძემ.

ნიუსპრესი

ევა გოცირიძე: „ლოტოტრონს როგორ ვანდოთ მართლმსაჯულების ინტერესები?“

ნათია ხურცილავა

სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში არასამთავრობოთა კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ საკანონმდებლო ინიციატივებით გამოდის.

ის კამპანია „სამართალი ითხოვს“ ფარგლებში საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს ამზადებს.

გუშინ, 11 მაისს, კოალიციამ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს, უმაღლესი საბჭოს წევრებსა და პარლამენტის დეპუტატებს, დიპლომატიურ კორპუსს მორიგი საკანონმდებლო ინიციატივები გააცნო.

ერთ-ერთი ინიციატივით საუბარია სასამართლოების თავმჯდომარეების არჩევაზე რიგითობის პრინციპით ან ბრმა შერჩევით, ე.წ ლოტოტრონის მეშვეობით.

კოალიცია ასევე საუბრობს მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური სისტემის შექმნის აუცილებლობაზე. მათ განცხადებაში ნათქვამია, რომ მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის წესი საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე რეგულირებას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი ევა გოცირიძე რეკომენდაციებს გაუაზრებელს უწოდებს.

ევა გოცირიძე:

– მთელი ეს შენიშვნები და რეკომენდაციები ეფუძნება იმ წარმოდგენას, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა ცუდია. ამიტომ ყველა რეკომენდაცია დაკავშირებულია საბჭოს უფლებამოსილების შემცირებასთან. ეს არასწორი მიდგომაა. ამიტომ ეს დოკუმენტი გაუაზრებელია.

– ქალბატონო ევა, როგორია თქვენი პოზიცია სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის შემოთავაზებულ წესთან დაკავშირებით? საუბარია ლოტოტრონსა და რიგითობაზე.

– მე არ ვეთანხმები სასამართლოს თავმჯდომარის არჩევას რიგითობის პრინციპით. მოსამართლე შეიძლება იყოს კარგი, მაგრამ იყოს ცუდი თავმჯდომარე. თავმჯდომარე არ უნდა ირჩეოდეს შემთხვევით, ლოტოტრონის პრინციპით, რადგან ის მენეჯერული თვისებებით აღჭურვილი, ძლიერი პიროვნება უნდა იყოს, რომელიც წინ აღუდგება სასამართლოს წინააღმდეგ წარმოებულ ნებისმიერ კამპანიას, ზეწოლას. ლოტოტრონს არ უნდა ვანდოთ მართლმსაჯულების ინტერესები.

თუ რიგითობაზეა საუბარი, 5 წლიანია თავმჯდომარეობის ვადა, საქალაქო სასამართლოს 100 მოსამართლეს როდის მოუწევს თავმჯდომარეობა?

ასევე არასერიოზულია მოსამართლეების ქულებით შეფასების პრინციპი, რადგან მონიტორინგის პერიოდში ქულებით ისედაც ვაფასებთ მოსამართლეებს.

◆ ◆ ◆

არასამთავრობოების საკანონმდებლო ინიციატივებში საუბარია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმასა და საქმეთა განაწილებაზე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ლევან მურუსიძე ამბობს, რომ კანონები კი არ უნდა მოვარგოთ კონკრეტულ პიროვნებას, ზოგადად სისტემის გაჯანსაღებაზე უნდა ვიზრუნოთ.

– თუ იმას ფიქრობენ, რომ შემოიღებენ სპეციალურ კანონებს, რომლებითაც ამა თუ იმ მოსამართლეზე იტყვიან, რომ ღირსი არ არის, დარჩეს სასამართლო სისტემაში, ეს მიუღებელია. მორალური შეფასება – ვინ მორალურია და ვინ ამორალური, არასწორად მიმაჩნია, – აცხადებს ლევან მურუსიძე.

მისი თქმით, რა კანონსაც მიიღებს პარლამენტი, იმ კანონით იმოქმედებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

– დანიშნავენ ინსპექტორს, დანიშნონ. ჩვენი პოზიციაა, რომ არ უნდა იყოს ინსპექტორი, – აღნიშნავს ბ-ნი მურუსიძე.

მისი თქმით, არ არსებობს მსოფლიოში არც ერთი ქვეყანა, სადაც სასამართლოს თავმჯდომარეს ლოტოტრონით ირჩევდნენ.

– არ გვინდა ველოსიპედების გამოგონება, – დასძენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

◆ ◆ ◆

ეკა გიგაური, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი:

– სასამართლო რეფორმას უფრო ფართოდ უნდა შევხედოთ და ის ცვლილებები, რომლებიც შეეხება მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის, საქმის გადანაწილებისა და მოსამართლეების სკოლის რეფორმის წესებს, ზუსტად ის ცვლილებებია, რომლებიც ხელს შეუწყობს სასამართლოში ახალი სისხლის შესვლას, ახალი მოსამართლეების დანიშვნას. ასევე – ღირსეული მოსამართლეების დარჩენას, რომლებიც ისედაც მუშაობენ სასამართლო სისტემაში.

ნინო ლომჯარია: „ცვლილებებს კანონმდებლობაში მაინც შევიტანთ“

ზაზა ხატიაშვილი, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე:

– პარლამენტმა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მისცა უფლება, ინსპექტორი ანუ პატარა მურუსიძე შეარჩიოს კონკურსის წესით. მე მოვუწოდებ პრეზიდენტს, ვეტო დაადოს ამ წესის ამოქმედებას, მით უმეტეს, რომ, მისი აზრით, შესაძლოა, მომავალ პარლამენტს არ სურდეს ქართულ მართლმსაჯულებაში მურუსიძეების ყოფნა.

ნინო ლომჯარია, არასამთავრობოთა კოალიციის წარმომადგენელი:

– ჩვენ კარგად დავინახეთ, როგორ მიიღეს ეს რეკომენდაციები. რამხელა კრიტიკა და წინააღმდეგობა წამოვიდა საბჭოს წევრების მხრიდან. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მათ ინტერესებში საბჭოს რეფორმირება ნამდვილად არ შედის. ეს ადამიანები კომფორტულად გრძნობენ თავს იმ რეგულაციების ფარგლებში, რაც არსებობს და რისი შეცვლის საჭიროებასაც ვერ ხედავენ.

ნინო ლომჯარია ამბობს, რომ კამპანია კიდევ უფრო აქტიური გახდება, რადგან ცვლილებების გარეშე მოსამართლეთა დანიშვნის სამართლიან პროცესს ვერ მივიღებთ.

– ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს ცვლილებები შევიდეს კანონმდებლობაში, – დასძენს ნინო ლომჯარია.

კვირიკაშვილი: „თანამშრომლობას დასავლეთთან ალტერნატივა არ აქვს“

პოლიტიკოსთა ადგილების გადანაცვლებით საგარეო კურსი არ იცვლება

– მე მოვუწოდებდი ყველა იმ ადამიანს, ვინც ეს აბსოლუტურად უაზრო ვაი-ვიში ატეხა ამ საკითხის გარშემო, შეხედოს ქვეყნის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ქვეყნის საერთაშორისო კურსს და ამ საკითხში არანაირი გადახვევა არ არსებობს. გაიგოს ყველამ, რომ საქართველოს უსაფრთხოება გადის დასავლელ პარტნიორებთან თანამშრომლობაზე, – ეს განცხადება პრემიერმა კვირიკაშვილმა გუშინ, 11 მაისს, გააკეთა.

დაუჯერებელია, რომ ვინმესთვის საჭირო გახდეს იმის მტკიცება, რა შედეგი მოაქვს ევროატლანტიკურ კურსს ქვეყნისთვის, თუ ვინმესთვის ეს მხოლოდ მშრალი ფაქტებია, მისი ადგილი ალბათ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში უადგილოა.

– გარდამავალ პერიოდში განცხადებები, რომლებიც აცილებულია სტრატეგიულ ხაზს, ჩვეულებრივი მოვლენაა, – აცხადებს პრემიერი.

ეს განცხადება გიორგი კვირიკაშვილმა ვაზიანში, სამხედრო აეროდრომზე გააკეთა, სადაც ქართულ-ამერიკულ-ბრიტანული სამხედრო წვრთნები „ღირსეული პარტნიორი“ გაიხსნა.

პრემიერის თქმით, ეს სამხედრო სწავლება ძალიან მნიშვნელოვანია და გააჩნია უმნიშვნელოვანესი დატვირთვა, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო შენაერთების თავდაცვისუნარიანობის განვითარებისა და პოლიტიკური თვალსაზრისით.

მისივე განმარტებით, საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, საქართველოს მოქალაქეების მშვიდი ცხოვრება გადის ერთადერთ გზაზე და ეს არის თანამშრომლობა დასავლეთთან.

გიორგი კვირიკაშვილი:

– თანამშრომლობას დასავლეთთან და სტრატეგიულ პარტნიორებთან ალტერნატივა არ აქვს და ეს არის ყველაზე მთავარი. საქართველოში პოლიტიკური რეალობა შეიცვალა იმ კუთხით, რომ საქართველომ გაიარა მნიშვნელოვანი გარდამავალი პერიოდი. ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოში დემოკრატიის ხარისხი მნიშვნელოვნად განმტკიცდა. რა თქმა უნდა, გაუმჯობესდა ეკონომიკური განვითარებაც, თუმცა, რა თქმა უნდა, ეკონომიკის განვითარება ფეხდაფეხ ვერ მიჰყვება დემოკრატიზაციის ხარისხს.

◆ ◆ ◆

10 მაისს ფაქტობრივად საპარლამენტო არჩევნების მარათონი დაიწყო და პოლიტიკური სივრცეც აფუთფუთდა. დაიწყო საკუთარი ადგილის დამკვიდრებისთვის ბრძოლა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არავინ ითვალისწინებს, რომ დეპუტატის, მინისტრის და ზოგადად პოლიტიკოსად წოდებული ადამიანის სიტყვა გასარანდი და ჩამოუყალიბებელი არ უნდა იყოს. წესით ასეა, მაგრამ რეალობა სხვაა.

ზოგს არ მოსწონს კვირიკაშვილის პრინციპულობა, მთავრობის მართვის კოორდინაციის ზუსტი უნარი. არის ნაკლის ძიების და შენიშვნების მიცემის უაზრო კორიანტელი. მთავრობას რომ პრემიერი აკონტროლებს, ეს არავისთვის უცნობი არ არის და ამას ჩვენი კონსტიტუციაც ამტკიცებს.

დღევანდელი რეალობა ასეთია – პრემიერ-მინისტრი სრულად აკონტროლებს სიტუაციას, ანუ გადაწყვეტილების მიმღები პრემიერია. აქედან გამომდინარე, მისი შენიშვნა ასატანი უნდა იყოს, თუ მინისტრობა გნებავთ.

კეთდება სრულიად მიუღებელი განცხადებები. ეს კი გუნდის ერთიანობის რღვევაზე აჩენს ეჭვებს. ასეთი განცხადებები პოლიტიკური ლიდერებისგან, კონკურენტი პარტიების ლიდერებისგან გასაკვირი არ არის, მაგრამ მინისტრთა კაბინეტის წევრისგან ასეთი განცხადებები უადგილოა.

ყველამ უნდა გაიაზროს, რომ ჩვენ გვაქვს სრულიად განსხვავებული წინასაარჩევნო გარემო.

– პოლიტიკური გუნდი, რომელიც ქვეყანას მართავს, მუდმივი ორგანიზმი არ არის, განახლებადია და ამ პროცესში ვიმყოფებით. ყველანაირი ვაი-ვიში, რაც არის ატეხილი, არის აბსოლუტურად უადგილო და ემსახურება მხოლოდ საკუთარი თავის დამკვიდრებას, – აცხადებს პრემიერი.

პოლიტიკური კონიუნქტურის ჩამოყალიბება რთულად მიმდინარეობს, თავშეუკავებელი განცხადებები კი მხოლოდ აზარალებს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს.

ურიგო არ იქნებოდა, ზოგიერთ პოლიტიკოს გაეაზრებინა, რომ დასავლეთთან ურთიერთობას ალტერნატივა არ აქვს, ეს არის მომავლის გზა და კურსის შეცვლა არც ქვეყნის შუა საუკუნეებში დაბრუნებას დაემსგავსება.

– გაიგოს ყველამ, რომ საქართველოს უსაფრთხოება გადის დასავლელ პარტნიორებთან თანამშრომლობაზე, – ასე პასუხობს ბატონი კვირიკაშვილი მმართველი გუნდის წევრის, თამაზ მეჭიაურის განცხადებებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას.

მოკლედ, არჩევნების წინ პოზიციაც და ოპოზიციაც უნდა დაცხრეს და დეპუტატობის სურვილით მოგვრილი ვნებები დაიოკოს.

უბრალო მოკვდავთ მხოლოდ შეიძლება ის გვახარებდეს, რომ ქვეყანაში პოლიტიკოსთა ადგილების გადანაცვლებით საგარეო კურსი არ იცვლება და „მთავრობის მთავრობას“ წარსულში დაბრუნების ნოსტალგია არ აწუხებს.

კვირიკაშვილი: „მთავრობაში ცვლილებები აუცილებლად იქნება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

გან ეს განცხადებები არის მიუღებელი. პრემიერ-მინისტრი აბსოლუტურად აკონტროლებს სიტუაციას, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

◆ ◆ ◆

გავრცელებული ინფორმაციით, სამთავრობო ცვლილებები ჯერ კიდევ ზამთარში უნდა განხორციელებულიყო. იგეგმებოდა იმ მინისტრების შეცვლა, რომელთა გამოცვლაც გასული წლის დამლევს ვერ მოახერხეს.

კოალიციაში შემავალმა პარტიებმა მთავრობაში დამატებითი სკამები მოითხოვეს. მაგალითად, რესპუბლიკელები 3 პორტფელის ნაცვლად 5-ს ითხოვდნენ. ამას გუნდში სერიოზული უთანხმოება მოჰყვა და მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის გარდა, არავინ შეცვალეს. ეს ცვლილებაც იმიტომ მოხდა, რომ მოქმედი მინისტრი კვირიკაშვილი პრემიერად წარადგინეს.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

პროექტს „Check In Georgia“ ბიზნესი შეუერთდა

პროექტს „Check In Georgia“ საქართველოში მოქმედი ბიზნესწრეების წარმომადგენლები უერთდებიან.

ამის შესახებ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში 11 მაისს გამართულ ღონისძიებაზე გახდა ცნობილი, რომელსაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი და ბიზნეს სექტორის 20-ზე მეტი წარმომადგენელი ესწრებოდა.

მთავრობის მიერ ინიცირებულ პროექტს შეუერთდნენ: ლოიალ კაპიტალ გრუპი, საქართველოს ბანკი, თიბისი, მეტრო, სოკარი, ვისოლი, თეგეტა მოტორსი, VTB ბანკი, ბლექსი ჯგუფი, შილდა, T&R დისტრიბუცია, განათლების, მეცნიერების და ტექნოლოგიების ფონდი, ომეგა, პროგრეს ბანკი, West Invest, ბორჯომი, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი, რუსალოს, გალფი, ატლსაგლობალი, აიჯი მოლი.

როგორც ღონისძიებაზე აღნიშნეს, შემუშავებულია სპეციალური საპარტნიორო პაკეტები, რომლითაც აქტიურად დაინტერესდა ბიზნეს სექტორი;

პროექტის ფარგლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 19 ქალაქში დაგეგმილ 150-ზე მეტ კულტურულ ღონისძიებაზე კომპანიებს ეძლევათ შესაძლებლობა წარმოჩინდნენ, როგორც „Check In Georgia“-ს პარტნიორები; მომხმარებელს შესთავაზონ საინტერესო მარკეტინგული ინიციატივები.

კომპანიების პოზიციონირება მოხდება დაგეგმილი სხვადასხვა მარკეტინგული აქტივობისას, ამასთან, პროდუქტის მწარმოებელი თუ მიმწოდებელი კომპანიები ღონისძიებებზე წარმოდგენილი იქნებიან საკუთარი პროდუქციით.

◆ ◆ ◆

კომპანია „გალფის“ მარკეტინგის ვიცე-პრეზიდენტის ნინო ჯიბლაძის განცხადებით, პროექტი „Check In Georgia“ ქვეყანაში ტურისტების რაოდენობის ზრდას შეუწყობს ხელს, რაც მნიშვნელოვანია.

მისი თქმით, კომპანია „გალფი“ ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს რამდენიმე სიურპრიზს სთავაზობს.

– ჩვენ შევუერთდით ამ პროექტს იმის გამო, რომ საინტერესოა ჩვენთვის მარკეტინგული თვალსაზრისით მსგავსი მასშტაბის ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება და ჩვენი ბრენდის პოზიციონირება იქ, სადაც ამდენი ხალხია შეკრებილი და არის დადებითი მუხტი. ჩვენ ვგეგმავთ სხვადასხვა სახის სიურპრიზებს წარმოდგენილი საზოგადოებისთვის, – განაცხადა ჯიბლაძემ.

კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი აცხადებს, რომ საქართველოში მსგავსი ღონისძიებების გამართვა მისასალმებელია, რადგან ეს ტურისტების ნაკადის შემოდინებას შეუწყობს ხელს, რაც ეკონომიკის ზრდაზე აისახება.

ნინო ჯიბლაძე:

– დაგეგმილია ძალიან მაღალი დონის ღონისძიებები, მივესალმებით ამაში მონაწილეობის მიღებას. ჩემი სუბიექტურია აზრია, რომ მსგავსი მასშტაბის ღონისძიებების ჩატარება ქვეყანაში არის კარგი. მისასალმებელია ისიც, რომ ამაში კერძო სტრუქტურებიც ერთვებიან. გაიზრდება ტურისტების რაოდენობა ქვეყანაში, რაც ეკონომიკის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია.

◆ ◆ ◆

ეკონომიკის მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, პროექტი „Check In Georgia“ საქართველოს ცნობადობას აამაღლებს.

მისი თქმით, პროექტი 19 ქალაქში ხორციელდება და პრაქტიკულად, მთელი ზაფხულისა და შემოდგომის მანძილზე მიმდინარეობს.

დიმიტრი ქუმსიშვილი:

– ეს პროექტი გამიზნულია იმისთვის, რომ ამაღლდეს ჩვენი ქვეყნის ცნობადობა საზღვარგარეთ, მოვიზიდოთ მეტი ტურისტი საზღვარგარეთიდან და ასევე მოვახდინოთ შიდა ტურიზმის წახალისება იმიტომ, რომ შიდა ტურიზმი ჩვენს ეკონომიკაში აგენერირებს არანაკლებ შემოსავლებს და სამუშაო ადგილებს.

◆ ◆ ◆

„თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილის, ნიკოლოზ ქურდიანის განცხადებით, „პროექტი

ხელს უწყობს ტურისტების ნაკადის გაზრდას, რაც კიდევ დამატებითი სარგებელია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის“.

ნიკოლოზ ქურდიანის თქმით, „თიბისი ბანკი“ უკვე მრავალი წელია, ჯაზფესტივალების მხარდამჭერია, წელს შავი ზღვის ჯაზფესტივალი პროექტ „Check In Georgia“ -ს ფარგლებში ტარდება, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ცნობადობის გაზრდას მსოფლიოში.

– იმდენად ცნობილი სახეები მონაწილეობენ, მაგალითად, შავი ზღვის ჯაზფესტივალში და ასევე სხვა დაგეგმილ ღონისძიებებში, რომ მათი საქართველოში ჩამოსვლა და კონცერტების გამართვა თავისთავად არის მოვლენა. ეს პროექტი ხელს უწყობს ტურისტების ნაკადის გაზრდასაც, რაც კიდევ დამატებითი სარგებელია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის, – განაცხადა „თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ ნიკოლოზ ქურდიანმა.

რა ზარალს აყენებს უქმე დღეები ქართულ ეკონომიკას

ექსპერტები გიორგი ქადაგიძის გათვლებს არ ეთანხმებიან

საქართველოში დღეს ისევ უქმე დღეა. ეს მაისში უკვე მეორე უქმეა, 26 მაისს კი ისევ არასამუშაო დღე გვექნება.

წელს მაისში დაემთხვა აღდგომის დღესასწაულიც, შესაბამისად, ამ თვეში დასვენების რეკორდული, 4 დღეა.

თუ ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის გიორგი ქადაგიძის გათვლებს დავეყრდნობით, გამოდის, რომ ამ 4 დღის გამო მხოლოდ მაისში საქართველოს ეკონომიკამ 320 მილიონი ლარი დაკარგა.

გიორგი ქადაგიძემ 10 მაისს სოციალურ ქსელში დაწერა, რომ საქართველოს ეკონომიკას თითოეულ უქმე დღე დაახლოებით 80 მილიონი ლარი უჯდება. მისივე თქმით, საქართველოში სულ 15 უქმე დღეა, რაც ევროპის ისეთი ქვეყნების მაქსიმალურ მაჩვენებლებს უტოლდება, როგორებიცაა ლიტვა და შვედეთი.

როგორც ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი წერს, უქმე დღეების საშუალო ევროპული მაჩვენებელი წელიწადში 12 დღეა, აქედან ყველაზე ცოტა დასვენება ესპანეთსა და დიდ ბრიტანეთშია – წელიწადში 8 დღე.

„კომერსანტი“ დაინტერესდა რამდენი დასვენების დღეა არამარტო ევროპის, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყანაშიც. ინტერნეტში ამ საკითხზე თითოეულ ქვეყანაზე სხვადასხვა მონაცემები არსებობს.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალურად 11 დასვენების დღეა, ჩინეთში 25, ბელგიაში –11, პოლონეთში –13, ბრაზილიაში –16 და ა.შ.

◆ ◆ ◆

რეალურად რამდენად ახდენს გავლენას ოფიციალური დასვენების დღეები საქართველოს ეკონომიკაზე და რამდენად არის აუცილებელი საქართველოში უქმე დღეების შემცირება?

„ახალი ეკონომიკური სკოლის“ ვიცე-პრეზიდენტი გია ჯანდიერი აცხადებს, რომ დასვენების დღეებზე აპელირება არასწორია და ეკონომიკის განვითარებისთვის, ჯობია, ქვეყანამ უფრო მეტი თავისუფლება მისცეს ბიზნესს.

გია ჯანდიერი მიიჩნევს, რომ უქმე დღეების შემცირებით ქვეყანაში დამატებითი ღირებულება არ შეიქმნება.

– ვთქვათ, გავაუქმეთ ყველა დასვენების დღე, რა მოხდება? მეტი პროდუქცია შეიქმნება? არ მგონია. ადამიანებს, ვინც მუშაობს, დასვენებაც სჭირდებათ, რომ პროდუქტიულობა არ შეუმცირდეთ, – ამბობს გია ჯანდიერი.

მისივე თქმით, მეორე მხრივ, როდესაც ბიზნესს საქმე აქვს, ის არ აქცევს ყურადღებას უქმე დღეს და მუშაობს.

– მგონია, რომ არცერთი ბიზნესი არ ისვენებს, თუ საქმე აქვს. მათ არ აინტერესებთ, არის თუ არა დასვენების დღე. თუ კონკურენტი გყავთ და ის არ ისვენებს, მაშინ არ ისვენებთ არც თქვენ. დასვენების დღეების საკითხი აინტერესებთ უფრო ბიუროკრატიულ სამსახურებში მომუშავე ადამიანებს – ბევრს იმუშავებენ თუ ცოტას, ისინი ერთსა და იმავე ხელფასს მიიღებენ, ამიტომ სურთ, რაც შეიძლება მეტი დასვენების დღე იყოს,– ამბობს სპეციალისტი.

გია ჯანდიერის თქმით, დღეს ეკონომიკასა და ბიზნესს მეტი თავისუფლება სჭირდება და ქვეყანამ იმ გზით სიარული უნდა გააგრძელოს, რომელიც წინა წლებში იყო, რაც გადასახადების შემცირებას გულისხმობდა.

– შეიძლება აქ ისეთი მაღალი არ არის გადასახადები, როგორც გერმანიაში, მაგრამ გერმანიასთან შედარება რას გვაძლევს? ჩვენ გერმანიასთან შედარებით უფრო სწრაფად უნდა ვიზრდებოდეთ, უფრო სწრაფი ნაბიჯებით უნდა მივიწევდეთ წინ. გერმანიისთვის 2%-იანი ზრდა არის კარგი, ჩვენთვის კი არის კატასტროფა,– აცხადებს გია ჯანდიერი.

სტატისტიკოსი სოსო არჩვაძეც ეთანხმება კოლეგას და ამბობს, რომ საქმე დასვენების დღეების სიმრავლეში ან სიმცირეში არ არის. მისი თქმით, დღეს უმთავრეს პრობლემას დასაქმების არაოპტიმალური ხასიათი ქმნის, რაც იმაში გამოიხატება, რომ თვითდასაქმებულებსა და დაქირავებით დასაქმებულებს შორის პროცენტული განსხვავება ძალიან დიდია, თვითდასაქმებულთა მაღალი რიცხვი კი დაბალ შემოსავალზე მიუთითებს.

– უმუშევრობის დონე არ არის ისეთი მაღალი საქართველოში, 12%-ია და ეს არ არის ძალიან მაღალი მაჩვენებელი ევროპული სტანდარტების მიხედვითაც კი. მაგრამ პრობლემა არის დასაქმების არაოპტიმალურ სტრუქტურაში.

მაგალითად, ევროკავშირში თანაფარდობა დაქირავებით დასაქმებულებსა და თვითდასაქმებულებს შორის არის პროპორციით 85%-15%-ზე. ანუ ყოველი 100 დასაქმებულიდან 85 არის დაქირავებით დასაქმებული, 15 – თვითდასაქმებული. ჩვენთან ეს თანაფარდობა არის 40%-60%-ზე. ჩვენ რომ გვქონდეს ევროპული თანაფარდობა, მშპ გვექნებოდა ორჯერ უფრო მაღალი,– ამბობს სოსო არჩვაძე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტატისტიკოსი მიჩნევს, რომ ჯობია ვიზრუნოთ არა სამუშაო დღეების შემცირებაზე, არამედ, მთავარი საზრუნავი უნდა იყოს ეკონომიკის ოპტიმიზაცია, რომელიც დასაქმების სტრუქტურას ევროპული სტანდარტების დონეზე მიიყვანს.

სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტი.გე

თბილისში კერძო სახლებისადმი ინტერესი გაიზარდა

ბოლო პერიოდში კერძო სახლების მიმართ ინტერესი მატულობს და მათი შეძენის მსურველთა რიცხვიც იზრდება.

როგორც უძრავი ქონების სააგენტოს კიბე.გეს დირექტორი ნელი გოგუაძე ბიპიენთან საუბრისას აღნიშნავს, უკანასკნელ ხანებში მოთხოვნა კერძო სახლებზე გაზრდილია. ბოლო პერიოდის ტენდენცია გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი სახლის შეძენას ან აშენებას ქალაქის ხმაურიდან მოშორებით, პერიფერიებში არჩევს.

– ბინების გაყიდვები ყოველთვის აჭარბებს რეალიზებული კერძო სახლების რაოდენობას, მაგრამ გასულ წლებთან შედარებით, კერძო სახლების გაყიდვები მომატებულია. სუფთა ჰაერის, ეკოლოგიური პირობებისა და შედარებით დაბალი ფასის გამო, მოსახლეობის უმრავლესობა უპირატესობას გარეუბნებს ანიჭებს.

ამავდროულად, ქალაქის ცენტრში, ვაკესა და საბურთალოზე, ადგილი აღარაა, სადაც კერძო სახლის აშენება იქნება შესაძლებელი, –აღნიშნავს ნელი გოგუაძე.

მისი თქმით, ბოლო პერიოდში ბაზარზე კერძო სახლების სამშენებლო კომპანიებიც განსაკუთრებით გააქტიურდნენ.

კომპანია „ლავა ბიზნესის“ დამფუძნებელი ვახტანგ ლაღიძე აღნიშნავს, კერძო სახლების სამშენებლო ბაზარზე საკმაოდ კონკურენტული გარემოა.

კომპანიების მიერ შეთავაზებული, ერთი კვადრატული მეტრის ფასი საშუალოდ 250 დოლარს უდრის. ეს ღირებულება მშენებარე კორპუსების ფასებთან შედარებით გაცილებით დაბალია, რაც მოთხოვნის ზრდასაც განაპირობებს.

– თუ ოთხი წლის წინ ჩემი კომპანია ერთადერთი იყო ბაზარზე, დღეს უკვე მსგავსი ტიპის ბევრი ორგანიზაცია არსებობს. თუმცა გადაწყვეტილების მიმღებთა და რეალურ მყიდველთა რიცხვი, ეკონომიკური კრიზისის გამო, არც თუ ისე მაღალია. ინტერესი კი წლიდან წლამდე იზრდება, – აღნიშნავს ვახტანგ ლაღიძე.

◆ ◆ ◆

ბინებისა და კერძო სახლების ფასებზე, მოთხოვნასა და მიწოდებაზე უფრო დეტალურად ბიპიენი უძრავი ქონების საიტის საქმე.გეს რედაქტორს ლელა არაბულს ესაუბრა.

დღეის მდგომარეობით გასაყიდად შეთავაზებული უძრავი ქონების რაოდენობა რაიონების მიხედვით ასე გადანაწილდა:

გლდანი-ნაძალადევი –1.920 ბინა, 500 კერძო სახლი; დიდუბე-ჩუღურეთი – 1.000 ბინა, 140 კერძო სახლი, ვაკე-საბურთალო – 3.240 ბინა, 360 კერძო სახლი, ისანი-სამგორი – 1.760 ბინა, 240 კერძო სახლი, ძველი თბილისი – 420 ბინა და 106 კერძო სახლი.

როგორც ლელა არაბული აღნიშნავს, ბოლო პერიოდში უძრავ ქონებაზე ფასები შემცირებულია, თუმცა ეს ფაქტი უფრო მეტად ბინების ღირებულებაზე აისახა. კერძო სახლების ფასების კლება შედარებით ნაკლებად თვალშისაცემია. დედაქალაქში ჩნდება ახალი დასახლებები, ტერიტორიების ათვისება და კერძო სახლების მშენებლობა, განსაკუთრებით გარეუბნებში, საკმაოდ მიმდინარეობს.

– დიდი დიღმის კერძო სახლები უკვე წლებია, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. თუმცა, ბოლო პერიოდში გამოიკვეთა გარკვეული უბნები, სადაც გაყიდვების ტემპი გაზრდილია. მაგალითად ვარკეთილში, თბილისის ზღვისა და ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, – აღნიშნა ლელა არაბულმა.

მისი თქმით, კერძო სახლის აშენებისა და სხვადასხვა კომპანიის მიერ შემოთავაზებული ბინის ფასი ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივეა.

– პრესტიჟულ უბნებში ბინების ღირებულება 80-დან 300 ათას დოლარამდე მერყეობს, კერძო სახლების ფასი კი 100 ათასი დოლარიდან იწყება და რიგ შემთხვევაში ნახევარ მილიონ დოლარამდე აღწევს, – აღნიშნავს არაბული.

საქმე.გეს რედაქტორის თქმით, ბინებსა თუ კერძო სახლებზე მოთხოვნის რაოდენობითაც და მაღალი ფასებითაც გამორჩეული კვლავ ვაკე-საბურთალოს ტერიტორიაა. დიდ დიღომში კი კერძო სახლის ღირებულება 25 ათასი დოლარიდან იწყება და რამდენიმე ასეულ ათას დოლარამდე ადის.

ძველი აშენებული სახლების მაღალი ფასებით კვლავ მთაწმინდის დასახლება გამოირჩევა.

ქრისტინე გამთენაძე, ბიპიენი

ზაქარია ქუცნაშვილი: „ქართულ ოცნებაში“ განსხვავებული აზრისთვის არავის ვდევნით“

ნონა ცაბაძე

„ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარლამენტის დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი აფასებს.

– ბატონო ზაქარია, პარტია „ქართული ოცნება“ არმაზ ახვლედიანმა დატოვა და ბევრ ხარვეზზეც ისაუბრა. რა ხდება, არჩევნებამდე კიდევ ხომ არ უნდა ველოდოთ ასეთ ხმაურიან გასვლებს?

– გამორიცხული არაფერი არ არის. მიდის ჩვეულებრივი პროცესი პარტიიდან ხალხის გასვლის და ხალხის შემოსვლის სახით. ეს დინამიური პროცესია და არასდროს არ არის სტატიკურ მდგომარეობაში, რომ ან არავინ არ შემოდიოდეს და ან არავინ გადიოდეს.

– თუმცა ახვლედიანმა ისაუბრა იმაზე, რომ პარტია „ქართულმა ოცნებამ“ უღალატა საკუთარ პრინციპებს. არ შეასრულა დანაპირები. ეს განაწყენებული კაცის პოზიციაა თუ რეალურად ასეა?

– არა მგონია, სწორი იყოს ჩემი კომენტარის კეთება პარტიაში განვითარებულ პროცესებზე იმის გამო, რომ მე პარტიის მართვაში ბოლო 2 წელიწადია, მონაწილეობა არ მიმიღია.

– ის ბრალს დებს „ოცნების“ კოალიციას, რომ დანაპირები არ შეასრულა, პრინციპებს უღალატაო და ეს თქვენ არ გეხებათ?

– როცა ამ ტიპის შეკითხვას მისვამთ, მაშინ დააკონკრეტეთ საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო და იმის მიხედვით გეტყვით, რა გავაკეთეთ და რა ვერ გავაკეთეთ.

– თუნდაც ავიღოთ დასაქმების პრობლემა. საზოგადოება საუბრობს უმუშევრობაზე, გაჭირვებაზე, სად არის სამუშაო ადგილები, რომელთაც მოსახლეობას ჰპირდებოდით? ექსპერტებისგან ის შეფასებებიც გვესმის, რომ ამ კუთხით იმაზე მძიმე ვითარებაა, ვიდრე საკაშვილის დროს იყო.

– ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოში შეიძლება არსებობდეს ხელისუფლება, რომელიც უმუშევრობას ბოლომდე მოსპობს?!

– მე კითხვას გისვამთ საზოგადოების განწყობებიდან გამომდინარე, პირადად ჩემს აზრს არ ვაფიქსირებ. შესაძლოა, ვერ მოსპოს, თუმცა აქ შედარებაზე მიდის საუბარი. ახლა გასაგებია?

– უმუშევრობა არის შედეგი, ხოლო, მიზეზი არის მცირე ეკონომიკის ქონა. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ძლიერი ქართული ეკონომიკის შექმნას, ისე ამ შედეგებს, გამოვლენილს უმუშევრობასა და გაჭირვებაში, ვერ დავამარცხებთ. როცა ვიღაცა უმუშევრობას და გაჭირვებას აცხადებს მიზეზად, ეს ნიშნავს იმას, რომ მას არ ესმის სახელმწიფოს და მისი ეკონომიკის მართვა. ვერ ხედავს პროცესს სწორად.

ამიტომ მხოლოდ პოპულისტური და დემაგოგიურია ჟურნალისტის, პოლიტიკოსის თუ ნებისმიერი სხვა პროფესიის წარმომადგენლის მხრიდან საკითხის ასე დასმა, რომ ეს მიზეზები ვერ აღმოვფხვერით. უმუშევრობა და გაჭირვება მცირე ეკონომიკის შედეგია და არა – მიზეზი.

– მაშინ ეკონომიკის გაზრდაზე გემუშავათ, თუკი აქ არის სათავე პრობლემებისა.

– პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო არის ლიდერი ქვეყანა ლატვიის შემდეგ, რომელსაც ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა აქვს. შავი ზღვის რეგიონში ასევე გვაქვს ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი რუმინეთის შემდეგ. ხოლო კავკასიის რეგიონში უპირობოდ ლიდერი ვართ. თუ ეს ყველაფერი შედარებითია, მაშინ შევადაროთ და მერე გავაგრძელოთ ამ თემაზე საუბარი.

– რესპუბლიკელების შესახებ რას იტყოდით, როგორია მათ ქცევებზე თქვენი შეფასებები. ისინი ოპოზიციაში გადადიან? რატომ ისმის ასეთი სერიოზული კრიტიკა მათი მხრიდან?

– გაღიზიანება გამოიწვია იმ ცნობილმა განცხადებებმა, რასაც დაერქვა მეჭიაურის და რესპუბლიკელების დაპირისპირება იმ თემაზე, რაზე აპელირებაც ყველა ოპოზიციურ პარტიას აწყობს, ვინც კი თავს მედასავლეთედ მიიჩნევს. ამიტომ მეჭიაურმა უნებლიეთ ხელი შეუწყო რესპუბლიკური პარტიის პოზიციონირებას და გააქტიურებას. ამიტომ მე მოვუწოდე ყველას, რომ ნუ შევუწყობთ ჩვენს კონკურენტ პარტიებს ხელს აქტუალიზაციასა და პოპულარიზაციაში.

– დღეს რესპუბლიკელები მოითხოვენ, რომ მეჭიაური გაირიცხოს კოალიციიდან. დადგება დღის წესრიგში ეს საკითხი?

– ჩვენ დავამკვიდრეთ ახალი კულტურა, რომ რაც არ უნდა მიუღებელი შეიძლება იყოს ესა თუ ის აზრი, მისი გამოხატვისთვის ადამიანებს არ ვდევნით. ბატონ კვირიკაშვილს უნდა მივცეთ რამდენიმე დღე, რომ გახდეს პარტიის თავმჯდომარე და აქედან გამომდინარე, წარმოეშვას პარტიის წევრებთან სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლის საშუალება. მას დღეს არ აქვს ეს საშუალება, რადგან ის გახლავთ პარტიის ისეთივე რიგითი წევრი, როგორც თქვენი მონა-მორჩილი.

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ თუკი მეჭიაური წავა „ქართული ოცნებიდან“, ის მაჟორიტარ დეპუტატად კენჭს იყრის თიანეთში. თქვენს ოპონენტად ხომ არ მოგვევლინება მეჭიაური?

– გამორიცხული არაფერი არ არის, თუმცა, სამწუხაროდ, უჩა ნანუაშვილის სარჩელის და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამო, თიანეთს აღარ ეყოლება თავისი დამოუკიდებელი დეპუტატი, რადგან თიანეთს, დუშეთს და ყაზბეგს, ეყოლება საერთო დეპუტატი.

– საკმარისი იქნება ერთი მაჟორიტარი სამი ამხელა რაიონისთვის?

– არავის მოსვლია აზრად, ეს რა პრობლემებს წარმოშობდა. ამ სამი მუნიციპალიტეტის გაერთიანებით მივიღეთ საქართველოს ყველაზე დიდი საარჩევნო ოლქი დასახლებათა რაოდენობის მიხედვით. 425 დასახლებული პუნქტი შედის დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების გაერთიანებაში. არაოკუპირებული ტერიტორიების დასახლებული პუნქტების 13% ამ ერთ საარჩევნო ოლქში იქნება თავმოყრილი.

– 14 მაისი ახლოვდება, სიურპრიზებს უნდა ველოდოთ „ქართული ოცნებისგან“?

– მე ვფიქრობ, სიურპრიზები პოლიტიკაში ყველაზე ცუდი მმართველობის გამოხატულებაა. პოლიტიკაში უნდა იყოს განჭვრეტადი პროცესები, მიმართული სტაბილიზაციისა და დემოკრატიისკენ, რაც არის აუცილებელი წინაპირობა ქვეყნის განვითარებისათვის. ასე რომ, ხელისუფლება სიურპრიზების პოლიტიკით კი არ უნდა ელაპარაკებოდეს თავის მოსახლეობას, არამედ განჭვრეტადი, სტაბილური და მდგრადი პოლიტიკის წარმართვით.

მოდესტ კოლეროვი: „საქართველო ნატოში, ალბათ, გაწევრიანდება, მაგრამ მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე“

ხუსეთში ახსებული სომხური დიასპორის გაზეთმა „ნოვე ჯოვრეგმა“ („ნოეს ჯიდობანი“) გამოაქვეყნა ვრცელი ინტერვიუ მოდესტ ჯოლეროვთან, ჰომელიც საინფორმაციო სააგენტო „ჰეგნუმის“ მთავარი ჰედაქტორი გახლავთ. იგი 2005-2007 ნლებში ხუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხეგიონთაშორისი ჯულტურული ჯავშრების სამმართველოს უფროსიც იყო.

ინტერვიუში მოდესტ კოლეროვი, სხვა საკითხებთან ერთად, საუბრობს საქართველოს ურთიერთობებზე სომხეთთან, თურქეთთან და ნატოსთან.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდებს ინტერვიუდან:

– როგორ შეაფასებდით საქართველოსა და სომხეთის ერთმანეთთან დამოკიდებულებას? როგორი შედეგები შეიძლება მოჰყვეს სომხეთისათვის საქართველოს გაწევრიანებას ნატოში, რასაც თბილისი ასე ჯიუტად ცდილობს?

– პირველ რიგში, იმას ვიტყვი, რომ საქართველო ნატოში, ალბათ, გაწევრიანდება, მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ ახალი საზღვრების ფარგლებში ანუ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე. ჩემი აზრით, სომხეთი დღემდე იმიტომ არ აღიარებს მთიან ყარაბაღს (თუმცა უკვე მზადდება შესაბამისი კანონპროექტი), რომ საქართველოს ნერვიულ რეაქციას ერიდებოდა. თუ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი საქართველოს თავის წევრად მიიღებს, მთიანი ყარაბაღის აღიარების პრობლემა მოიხსნება. სიტუაციის ასეთი განვითარება ნიშნავს, რომ სომხეთს „მწვანე შუქი“ აენთება მთიანი ყარაბაღის აღიარებაში, ხოლო რუსეთს – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების შემდგომი ინტერნაციონალიზაციის საკითხში. რაც შეეხება ჯავახეთს („ჯავახკს“), ეს რეგიონი უკვე სამუდამოდ საქართველოს შემადგენლობაში დარჩება, ავტონომიის გარეშე.

რუსეთი ალიანსში გაწევრიანებულ საქართველოსთან (ანუ ნატოსთან) ომს არ აპირებს. ჩვენ სიტუაციას თავაწეულებმა, მთელი სიგრძე-სიგანით უნდა შევხედოთ, უნდა გავიაზროთ, თუ რა იქნება მომავალში, რა მოჩანს „მაგიდის ბოლოში“. იქ კი დაშლილ თურქეთს ვხედავთ. საქართველოსა და სომხეთის საზღვრებთან მალე ახალი სახელმწიფო – ქურთისტანი გაჩნდება. თურქეთი აღარ იარსებებს.

– გასაგებია, მაგრამ ეს მაინც მომავლის სურათია, დღეს კი ქართული ეკონომიკა თურქულ ეკონომიკასთანაა ინტეგრირებული, ასევეა პოლიტიკურ სფეროშიც... იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველო თითქოსდა თურქეთის ნაწილი ხდება... თქვენ როგორ ფიქრობთ?

– საქართველომ შამფურზე წამოგებული მწვადის როლში ყოფნა საკუთარი ნებით აირჩია, თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის. ამ ქვეყნების ერთმანეთთან შემაერთებელი კომუნიკაციები სხვადასხვა ხალხებით დასახლებულ საქართველოს ტერიტორიას გამჭოლად გასდევს და ანაწევრებს. ჩვენ ძალიან კარგად ვართ ინფორმირებულნი საქართველოს მიმართ თურქული და აზერბაიჯანული ეკონომიკური ექსპანსიის თაობაზე. თბილისი ავარიულად გადადის ევროატლანტიკური სტრუქტურების კონტროლქვეშ, რითაც მას ორი პრობლემის მოგვარება სურს: უზრუნველყოს „რუსული საფრთხის“ განეიტრალება და თავიდან აიცილოს აზერბაიჯან-თურქეთის მხრიდან მომდინარე რეალური საფრთხე. თბილისი ხედავს, რომ ყველა ტრანსკავკასიური მაგისტრალი, რომლებიც მის ტერიტორიაზე გადის, მას არ ეკუთვნის, ამიტომაც სჯერა, რომ თუ ევროატლანტიკურ ბიუროკრატებს მიიწვევს (ისინი ხომ თურქებსაც თავზე ასხედან!), ამით საკუთარ თავს და ეროვნულ ინტერესებს დაიცავს...

– გამოდის, რომ საქართველო უკვე ყველაფერს ხვდება, მაგრამ არაფრის გაკეთება აღარ შეუძლია...

– როცა იოსებ სტალინმა 1920-იანი წლების დასაწყისში იმ ადამიანებთან კამათი დაიწყო, რომლებიც საბჭოთა კავშირის შექმნას ისეთი „ტიტულური“ რესპუბლიკებით ცდილობდნენ, სადაც მთელი ხელისუფლება „ტიტულურ“ ერებს ექნებოდათ, მას არგუმენტად საქართველო მოჰყავდა. სტალინი კარგად იცნობდა ამიერკავკასიას და ამბობდა, რომ შეუძლებელი იყო პოლიტიკურ-ნაციონალური მონოპოლიის შექმნა საქართველოში, რომლის დედაქალაქ თბილისის მცხოვრებთა შორის 35% სომხები იყვნენ. დღეს მისი ხმა დავიწყებულია. მე არ ვარ იოსებ სტალინის თაყვანისმცემელი, მაგრამ აშკარაა, რომ იგი ერთი თავით მაღლა იდგა თავის გარემოცვაზე.

როცა მიხეილ სააკაშვილმა, საქართველოს პრეზიდენტად ყოფნის დროს, აზრი გამოთქვა წინადადება საქართველო-სომხეთის საბაჟო კავშირისა და შემდგომი კონფედერაციის შექმნის მიზნით, მე მის ნათქვამს სერიოზულად შევხედე. ამით სომხეთს შესაძლებლობა ეძლეოდა ჯავახეთის პრობლემა გადაეწყვიტა, ზღვაზე გასასვლელი მიეღო, მჭიდრო კავშირი ჰქონოდა თბილისელ სომხობასთან, ისტორიულ-ეროვნული მემკვიდრეობა შეენარჩუნებინა... საქართველოს კი კარგი ურთიერთობა ექნებოდა რუსეთთან, რომელიც სომხეთის მოკავშირეა. რუსეთთან ცუდი დამოკიდებულება საქართველოსთვის არ შეიძლება. იმ დროს მიხეილ სააკაშვილმა ძლიერი, მაგრამ იმავდროულად უტოპიური სვლა გააკეთა...

დღეს საქართველოდან წამოსული სიგნალები მოწმობს, რომ იქ ისეთი ძლიერი პრონატოური განწყობა და რიტორიკა აღარ არის, როგორიც, თქვათ, 2008 წელს იყო, როცა ყველა მხარს მიხეილ სააკაშვილს უჭერდა. ახლა ჩვენ საერთო ენის გამონახვა გვჭირდება. ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ქართველებისათვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დაკარგვა“ მოუგვარებელი პრობლემაა. ამიტომაც ეს მტკივნეული თემა ყოველთვის იქნება გრძელვადიან ქართულ-რუსულ ისტორიულ დიალოგში. ამგვარ სიტუაციაში სომხეთმა შეიძლება რუსეთ-საქართველოს შორის „თარჯიმნის“ როლი შეასრულოს და „სამეულის“ მოლაპარაკებისათვის დღის წესრიგის შემუშავებაში წვლილი შეიტანოს.

ნიუსპრესი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ტერაქტი დიარბექირში



თურქეთის ქალაქ დიარბექირში ტერაქტი მოხდა. აფეთქდა ავტობუსი, რომელიც პოლიციის ავტობუსის გვერდით იდგა.

ავტობუსით პოლიციელებს დაკავებული ქურთი მებრძოლები გადაჰყავდათ.

აფეთქების შედეგად დაშავდა 12 პოლიციელი და 34 მშვიდობიანი მოქალაქე.

გერმანია ბუნდესვერის რაოდენობას ზრდის

გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ურსულა ფონ დერ ლიაიენმა განაცხადა, რომ მიღებულია გადაწყვეტილება ბუნდესვერის რაოდენობის გაზრდის თაობაზე.

– ამის მიზეზი რუსეთის მხრივ აგრესიის საფრთხეა, – თქვა მინისტრმა.

ბუნდესვერის შტატი კიდევ 7.000-ით გაიზრდება.

ერაყში პოლიტიკური კრიზისი გრძელდება

ბაღდადში მასობრივი გამოსვლები ჩაცხრა. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური კრიზისი გრძელდება. პარლამენტი პარალიზებულია, ქვორუმის შეგროვება კვლავაც ვერ ხერხდება. სახელმწიფო აპარატი

არ მუშაობს. გამეფებულია მასობრივი კორუფცია. მოსახლეობა ელემენტარულ სოციალურ დახმარებებსაც კი ვერ იღებს.

– ერაყი სამ ნაწილადაა გაყოფილი: სუნიტები, შიიტები და ქურთები, – ამბობს ერაყის პარლამენტის დეპუტატი ალ-რაბაი.

სამივე დაჯგუფებას საკუთარი შეიარაღებული ჯგუფები და მომხრეები ჰყავს. მათ შორის მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო.

მოსახლეობა, რომელიც გაუთავებელი ქაოსითა და კორუფციით გადაიღალა, სულ უფრო იხრება ვადამდელი არჩევნების ჩატარებისკენ.

თურქეთი: რუსი პილოტის მკვლელობაში ეჭვმიტანილს პასუხისგებაში არ მისცემენ

თურქეთის პროკურატურამ სამხილის უქონლობის გამო დახურა ალპასლან ჩალიქის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე.

ჩალიქს ბრალად იმ რუსი პილოტის მკვლელობა ედებოდა, რომლის თვითმფრინავიც თავის დროზე თურქეთის სამხედროებმა ჩამოაგდეს.

– ჩალიქის წინააღმდეგ სამხილი საკმარისი არ არის, – ასეთია თურქეთის პროკურატურის პოზიცია.

ამავე დროს, ჩალიქი კვლავ წინასწარ პატიმრობაში რჩება. მის მიმართ წაყენებული მეორე ბრალდება, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა, ჯერჯერობით გაბათილებული არ არის.

ლონდონის მერი ტრამპს აკრიტიკებს

ერთი კვირის წინ ლონდონის მერი პოსტზე წარმოშობით პაკისტანელი სადიკ ხანი აირჩიეს.

აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატმა რესპუბლიკური პარტიიდან დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში სადიკ ხანისთვის გამონაკლისს დაუშვებს და აშშ-ს ტერიტორიაზე შეუშვებს.

ტრამპი სხვა მუსლიმანების აშშ-ს ტერიტორიაზე შეშვების წინააღმდეგია.

სადიკ ხანმა ტრამპი მკაცრად გააკრიტიკა. მან განაცხადა, რომ ტრამპის უპასუხისმგებლო განცხადებები ამერიკის უსაფრთხოებას პრობლემებს უქმნის.

– ტრამპი ისლამში აბსოლუტურად ვერ ერკვევა. მისმა გამოთქმებმა კი შესაძლოა ამერიკელებსა და მუსლიმანებს შორის გაუცხოების გრძნობა გამოიწვიოს, – თქვა სადიკ ხანმა.

პუტინი: „სირიის ოპერაციამ ჩვენი ჯარის ნაკლოვანებები გამოავლინა“

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ სირიის ოპერაციამ რუსეთის შეიარაღებულ ძალებში არსებული ნაკლოვანებები გამოავლინა.

– ჩვენი არმია არც ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, როგორც ვვარაუდობდით, – თქვა პუტინმა.

მან არ დააკონკრეტა, რას გულისხმობდა, თუმცა აღნიშნა:

– ყველა პარამეტრით, ჩვენს არმიას სირიაში სწრაფად უნდა გაემარჯვა, გაეთავისუფლებინა როგორც დამასკოს გარეუბანი, ასევე ალეპო. ეს არ მოხდა, რაშიც ჩვენი სამხედრო ხელმძღვანელობაა დამნაშავე, – თქვა პუტინმა.

მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სირიის ოპერაცია გულდასმით იქნება გაანალიზებული, ხოლო დამნაშავეები დაისჯებიან.

იური ლუცენკო უკრაინის გენპროკურორი ვერ გახდა

უკრაინის პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა კანონპროექტს, რომლის ძალითაც გენპროკურორის თანამდებობაზე შეიძლებოდა დანიშნულიყო პიროვნება, რომელსაც გენპროკურატურაში მუშაობის სტაჟი არ გააჩნდა.

პეტრო პოროშენკოს ბლოკს ამ პოსტზე ბლოკის ერთ-ერთი ლიდერის, იური ლუცენკოს დანიშვნა სურდა.

– ლუცენკო პოროშენკოს გუნდის წევრია. მისი დანიშვნით გენპროკურატურა მთლიანად მოექცეოდა უკრაინის პრეზიდენტის კონტროლქვეშ, – თვლის უკრაინული პატრიოტული მოძრაობის აქტივისტი ოლეს დონინი.

კანონპროექტის ჩაგდებამ გენპროკურორად ლუცენკოს დანიშვნას წერტილი დაუსვა.

ქერი: „ჩრდილოეთ კორეას ბირთვულ სახელმწიფოდ არასოდეს აღიარებენ“

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეას ბირთვულ სახელმწიფოდ არასოდეს არ აღიარებენ.

სანქციები ფხენიანის წინააღმდეგ გაგრძელდება და გაფართოვდება.

– ჩვენ შევძელით ჩინეთის დარწმუნება, რომ ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს შემოუერთდეს, – თქვა ქერიმ.

არქიტექტორ ახმეტოვს წინასწარი პატიმრობის ვადა გაუგრძელეს

მოსკოვის რაიონულმა სასამართლომ არქიტექტორ ახმეტოვს წინასწარი პატიმრობის ვადა 23 მაისამდე გაუგრძელა.

ახმეტოვს ბრალად პოლიციელის შეურაცხყოფა ედება.

ბრალდების მხარე ამტკიცებს, რომ რუსული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის სასამართლოს დროს ახმეტოვმა პოლიციელს სამხრეები ჩამოახია.

თავად ახმეტოვი ამბობს, რომ ნავალნის სასამართლოს დროს მოსკოვში საერთოდ არ იმყოფებოდა.

– მე მშობლიურ პეტერბურგში ვიყავი, – აცხადებს არქიტექტორი.

ДОНБАСИ: РУС ჯარისკაცებში დეზერტირობა გახშირდა

უკრაინის სამხედრო დაზვერვის ცნობით, დონბასში მდგომარეობის გამწვავების პარალელურად, რუს ჯარისკაცებში დეზერტირობის ფაქტები გახშირდა.

დანაკარგები, რასაც რუსები განიცდიან, ისედაც დიდია, ფართომასშტაბიანი სამხედრო ქმედებების განახლების შემთხვევაში კი ეს ციფრი ერთი-ორად გაიზრდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოფიციალურად რუსეთი დონბასის ომში არ მონაწილეობს. სირიაში მებრძოლი რუსი სამხედროები სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პრივილეგიებით სარგებლობენ, დონბასში მყოფი რუსი მეომრების საქმე კი სხვაგვარადაა. მათი სტატუსი გაურკვეველია. ისინი დამოკიდებული არიან ხელმძღვანელობაზე, რომელსაც ყოველ წუთს შეუძლია კონტრაქტი ვადაზე ადრე გაწყვიტოს.

ამ შემთხვევაში რუსი ჯარისკაცი ანაზღაურების გარეშე რჩება, დაინვალიდების შემთხვევაში კი მასზე შეღავათი არ გავრცელდება.

შესაბამისად, გასაგებია ის განწყობა, რაც რუსეთის საოკუპაციო ჯარის ნაწილებშია გამეფებული.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45. სერთიფიკატი №53.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45. სერთიფიკატი №53.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ქუთაისი და დინამო სერიაში დაწინაურდნენ

გრძელდება საქართველოს საკალათბურთო პირველობის ნახევარფინალური სერიები.

სოხუმი – ქუთაისი 66:69
(19:17; 15:14; 6:22; 26:16)

კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა ქუთაისმა ამჯერად სტუმრად სძლია სოხუმს (69:66), ნახევარფინალურ სერიაში 2:1 დაწინაურდა და მოედნის უპირატესობაც დაიბრუნა.

სერიის საწყის 2 მატჩში, რომელიც ქუთაისში გაიმართა, გუნდებმა მოგებ-წაგებები გაიყვეს და ბრძოლამ თბილისში გადმოინაცვლა.

იმერულმა კლუბმა მე-3 მატჩში გამარჯვებით ფინალისკენ მოზრდილი ნაბიჯი გადადგა.

ცხადია, სოხუმის დარი მებრძოლი გუნდის წინააღმდეგ აუცილებელი გამარჯვების დაგეგმვა რთულია და, სავარაუდოდ, მე-4 მატჩი ძალიან საინტერესო იქნება. დაძაბულობა არც მე-3 მატჩს აკლდა, თუმცა ბოლო წუთებზე ისეთი ბრძოლა ვერ შედგა, თანაბარი რომ ეთქმის.

პირველი ნახევრის 31:34 წაგების შემდეგ, ქუთაისმა მესამე პერიოდის საწყისი 7:35 წუთი 17:2 მოიგო, 49:36 დაწინაურდა და შეიძლება ითქვას, სოხუმი გატეხა. თავი ძმებმა ბარბაქაძეებმა გამოიჩინეს: გიორგიმ 5 ქულა ჩააგდო, დავითმა – 10, რასაც სოხუმელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს და მესამე პერიოდის 22:6 მოგების შემდეგ ქუთაისი 53:40 დაწინაურდა.

ბოლო პერიოდში სოხუმელებმა ჩამორჩენის მხოლოდ შემცირება შეძლეს, თუმცა თამაში ისე ჩამთავრდა, ვითარება არ დაძაბულა.

ქუთაისელებს 18 ქულით დავით ბარბაქაძემ ულიდერა. 12 ქულა და 12 მოხსნა დააგროვა ბექა ბექაურმა, გოგა ცეკვავას ანგარიშზე კი 11 ქულა დაგროვდა.

სოხუმში 24 ქულით ფილიპ მილერი გამოირჩა, 15 ქულა და 13 მოხსნა დააგროვა გიორგი ჯგერენაიამ.

ვაჟა კვარაცხელია, სოხუმის მთავარი მწვრთნელი:

– ჩვენი ბრალია, რომ წავაგეთ. გუნდის ლიდერებმა ვერც დაცვაში ითამაშეს და ვერც შეტევაში. განსაკუთრებით, მესამე პერიოდში შევრცხვით, რომელიც დიდი სხვაობით დავთმეთ და შემდეგ ვითარება ვეღარ გამოვასწორეთ. ასეთი მსაჯობა რომ ყოფილიყო ქუთაისში, ორივე მატჩს მოვიგებდით. იმედი მაქვს, ქუთაისში მე-5 მატჩის სათამაშოდ წავალთ.

კოტე ტუღუში, ქუთაისის მთავარი მწვრთნელი:

– უმნიშვნელოვანესი თამაში მოვიგეთ, შეიძლება ითქვას, რომ მოედნის უპირატესობა ისევ უკან დავიბრუნეთ. სოხუმი ძალიან მებრძოლი გუნდია, დარწმუნებული ვარ, რომ ურთულესი თამაშები გველის. შეცდომები გვქონდა, თუმცა ბრძოლა ფინალისთვის გრძელდება, სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მე მადლობელი ჩემი ბიჭების, რომ იბრძვიან ბოლომდე.

დინამო – ბათუმი 80:70
(22:21; 13:11; 24:17; 21:21)

დინამომ სუპერლიგის ნახევარფინალური სერიის პირველი მატჩი ბათუმში წააგო, შემდეგ კი ზედიზედ ორჯერ იმარჯვა და საერთო ანგარიშით 2:1 დაწინაურდა.

მატჩს დიდი ემოცია ახლდა. თამაში ხისტი და შეუპოვარი იყო, რაც უხეშობაში გადადიოდა და მსაჯებს რამდენიმე ტექნიკურ ჯარიმასთან დისკვალიფიკაციისთვის მიმართვაც მოუხდათ. მოედნიდან ბათუმელთა უკანახაზელი ივანე მაისურაძე გააგდეს, რისი მიზეზიც მეტოქეებთან შეხლა-შემოხლა გახლდათ.

ეს ბოლო პერიოდში მოხდა, როცა დინამოელებს ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოპოვებული ჰქონდათ. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა თბილისურმა გუნდმა შედეგიანი მე-3 პერიოდი ჩაატარა, რის შემდეგაც უპირატესობა 10 ქულამდე გაზარდა.

დინამოელთა წარმატება მათ გუნდურ და დაცვით თამაშში იყო. ბათუმელებს კი შეტევაში, შორი თუ ახლო სროლებისას ხშირად მიზანი ღალატობდათ და გაცილებით მწყობრად მოქმედმა დინამოელებმა გამარჯვებამდე მისვლა დიდი გაჭირვების გარეშე მოახერხეს. მაქსიმუმი, რაც ბათუმმა შეძლო, ბოლო წუთებზე ჩამორჩენის 5 ქულამდე შემცირება იყო. საბოლოო ანგარიში კი 80:70 გახლდათ.

გამარჯვებულებს სერბმა მაქსიმ კოვაჩევიჩმა ულიდერა, რომელმაც 3-დან 3 სამქულიანი ჩააგდო და მთლიანობაში 23 ქულა მოაგროვა. 15-15 ქულა მიითვალეს მიხეილ ბერიშვილმა და ნოდარ გოგოძემ.

ბათუმელთაგან 16 ქულით ბომბარდირი აკაკი დვალიშვილი გახდა, 15 ქულა ბესო ლეჟავას ანგარიშზე დაგროვდა.

დავით უსტიაშვილი, ბათუმის მთავარი მწვრთნელი:

– დაძაბული შეხვედრა იყო, დაუზოგავი ბრძოლა მოედანზე, ნახევარფინალებია და, რა თქმა უნდა, ეს მოსალოდნელია. ამჯერად დინამო დაწინაურდა, შემდეგი თამაში ჩვენთვის გადამწყვეტი თამაშია, რადგან, თუ წავაგეთ, სერიას ვასრულებთ, ამიტომ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მომდევნო შეხვედრა მოვიგოთ.

ირაკლი ხოშტარია, დინამოს მთავარი მწვრთნელი:

– რთული თამაშებია ძალიან, იმიტომ, რომ თანაბარი დონის გუნდები ხვდებიან ერთმანეთს პლეიოფებში. არ შეიძლება არ აღინიშნოს შარაბიძის გამოსვლა მოედანზე, მას ტრავმა აქვს. მისი მოთხოვნა იყო, ასე რომ, მე უარი ვერ ვუთხარი და ხელს ვერ შევუშლიდი. დიდი მადლობა მას და ასევე მთელ გუნდს, ყველა მოთამაშეს.

მერაბ ჟორდანიას ტორპედოს დახმარება სურს

ბოლო დროს გავრცელდა ხმები, რომ ქუთაისის ტორპედოში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ბრუნდება.

თბილისის დინამოს, სფფ-ისა და არნემის ვიტესის ყოფილი პრეზიდენტის საქართველოში შესაძლო დაბრუნებაზე ბოლო წლებია აქტიურად ისმის ხმები, მაგრამ ჟორდანია ჯერ არ ჩანს.

თუმცა, გაიჟღერა ხმებმა, რომ ტორპედოსა და თერჯოლის საპოვნელას მატჩს ჟორდანიას წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომლებმაც შემდეგ ქუთაისის მერ შოთა მურღულიასთან ერთად კლუბის ბაზა მოინახულეს.

არსებული ვერსია თავად ჟორდანიამ არ უარყო და შესაბამისი განცხადებაც გაავრცელა.

მერაბ ჟორდანია:

– ვადასტურებ, რომ საფეხბურთო კლუბ ქუთაისის ტორპედოში შექმნილი მძიმე სიტუაციის შემდეგ მქონდა საქმიანი საუბრები კლუბის მესვეურებთან და მზად ვარ, ჩემს მეგობრებს, ვინც დღეს ქუთაისის ტორპედოში ინვესტიციის ჩადებას გეგმავს, მაქსიმალურად დავეხმარო. დახმარების წინადადებით ჩემი მშობლიური გუნდის, ლანჩხუთის გურიის წარმომადგენლებმაც მომმართეს. ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში მზად ვარ, ვიყო ქართული ფეხბურთის მხარდამჭერი.

ჟორდანიასგან საპირისპირო განცხადებას ავრცელებს ტორპედოს პრეზიდენტი თემურ ჩეჩელაშვილი, რომელიც აცხადებს, რომ მისი კლუბის პრეზიდენტად ყოფნის პერიოდში (თებერვლიდან) ამ საკითხზე სასაუბროდ ჟორდანიას არ შეხვედრია.

ხინჩეგაშვილი და პეტრიაშვილი წონის ლიდერები არიან

ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანებამ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის მსგავსად, რეიტინგ ლისტი თავისუფალ სტილშიც განაახლა.

ევროპისა და მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა და ევროპის წლევანდელმა ჩემპიონმა გენო პეტრიაშვილმა რეიტინგში პირველი ადგილები შეინარჩუნეს.

ხინჩეგაშვილი (57) აგერ უკვე 6 თვეა რაც მსოფლიო რეიტინგს უდგას სათავეში, მას შემდეგ, რაც ლას ვეგასში პირველად მოიპოვა პლანეტის უძლიერესი ფალავნის ტიტული. პეტრიაშვილი (125) კი რეიტინგის სათავეში რიგაში ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ მოექცა, როდესაც პირველივე შეხვედრაში დაამარცხა მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, რეიტინგის ლიდერი თურქი ტახა აკგული.

მათ გარდა რეიტინგში კიდევ 8 ქართველი შევიდა. ევროპული თამაშების ვერცხლის პრიზიორი ბექა ლომთაძე (61) მე-16 ადგილზეა, ამავე წონაში შოთა ფარტენაძე ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატზე მოპოვებული ბრინჯაოს მედლით მე-20 ადგილზეა.

ზურაბ იაკობიშვილმა (65) ულანბატორში მსოფლიოს სალიცენზიო ტურნირზე მოპოვებული მეორე ადგილის შემდეგ მე-15-დან მე-10 ადგილზე გადაინაცვლა. ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი დავით ტლაშაძე (70) მე-7 ადგილზეა.

ევროპის საკვალიფიკაციო ტურნირის ვიცე-ჩემპიონი იაკობ მაქარაშვილი (74) მე-14. მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი სანდრო ამინაშვილი (86) მე-5, ამავე წონაში ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი დავით მარსაგიშვილი – მე-12. ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ელიზბარ ოდიკაძე (97) – მე-5.

საერთო ჯამში ქართველმა მოჭიდავეებმა 12 შესაძლებლიდან რიო დე ჟანეიროში გასამართ ოლიმპიადაზე 11 ლიცენზია მოიპოვეს. შედეგად, ბრაზილიაში ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებში ყველაზე მეტი სპორტსმენით იქნება წარმოდგენილი.

თავისუფალი ჭიდაობა სრული გუნდით, 6 სპორტსმენით იასპარეზებს, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა კი 5 სპორტსმენით წარდგება.

ამ დროისთვის ნაკრების მთავარ მწვრთნელებს რევაზ მინდორაშვილსა და ბეგი დარჩიას ოფიციალური შემადგენლობები არ დაუსახელებიათ, რადგან საგზური ისევ ფედერაციის საკუთრებაა და არა – სპორტსმენის. ანუ შეიძლება ლიცენზია ერთმა მოიპოვოს, მაგრამ მწვრთნელს უფლება ექნება, მის ნაცვლად თამაშებზე სხვა მოჭიდავე წაიყვანოს.

სალომე ფაჟავას ბრინჯაო მსოფლიო გრან პრიზე

რიოს ოლიმპიურ თამაშებზე მხატვრულად ტანმოვარჯიშე სალომე ფაჟავას წასვლა ცოტა ხნის წინ ეჭვქვეშ იყო, რადგან წლის დასაწყისში ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. როგორც ჩანს, ფაჟავამ ტრავმაც მოიშუშა და სპორტულ ფორმასაც იბრუნებს, რადგან მსოფლიო გრან პრიზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

სალომეს მე-3 ადგილი გურზებით ვარჯიშში ერგო – 18.600 ქულით. ასევე ახლოს იყო მედალთან რგოლებით, სადაც მე-4 ადგილი ირგუნა, 4-5 ადგილები გაიყო ავსტრალიელ ნიკოლ რუპრეჩტისთან ბურთით ვარჯიშში.

ლენტით ვარჯიშში სალომემ საკვალიფიკაციო ეტაპზე შეცდომა დაუშვა და ფინალში ვერ მოხვდა.

საბოლოოდ, მრავალჭიდში სალომემ 70.700 ქულას მოუყარა თავი და მე-6 ადგილზე გავიდა. ქართველ ტანმოვარჯიშეს მსოფლიოს ჩემპიონმა მარგარიტა მამუნმა (რუსეთი, 77.100), მსოფლიოს და ევროპის პრიზიორმა მელტინა სტანიუტამ (ბელორუსი, 74.600), დიანა ავერინამ (რუსეთი, 72.850), ვიქტორია ფილანოვსკიმ (ისრაელი, 72.100) და არინა ავერინამ (რუსეთი, 71.250) გაუსწრეს.

კურტუა რეალში, რონალდუ — პსჟ-ში?

ინგლისური გამოცემები ირწმუნებიან, რომ მადრიდის რეალს მომდევნო სეზონში ახალი მეკარე ეყოლება. იქაური მედიის ინფორმაციით, ტიბო კურტუას ჩელსიდან წასვლა სურს, ფლორენტინო პერესს კი ბელგიელი მეკარე ძალიან მოსწონს და მასში 82 მილიონი ევროს გადახდას აპირებს.

ინგლისში ეჭვი არ ეპარებათ, რომ კურტუა მომდევნო სეზონში არა ჩელსის, არამედ რეალის ღირსებას დაიცავს.

ზინედინ ზიდანი სატრანსფერო ფანჯრისთვის მზადებას სამხრეთ ამერიკაშიც შეუდგა. ესპანურ გამოცემებზე დაყრდნობით, რეალი ზაფხულში ლუკას ლიმასა და გაბრიელ ბარბოსასთვის იბრძოლებს. ეს ფეხბურთელები ბრაზილიური სანტოსის ღირსებას იცავენ და ძალიან მაღალ დონეზე გამოდიან.

განსაკუთრებული ინტერესი ბარბოსას მიმართ არსებობს, მის დამატებაზე პრეტენზიას ევროპის არაერთი გრანდი აცხადებს.

თუმცა, არსებობს ეჭვი, რომ რეალი შესაძლოა დატოვოს კრიშტიანო რონალდუმ, რომელსაც ფრანგული პსჟ საოცარ წინადადებას სთავაზობს.

ფრანგული კლუბი მზად არის, პორტუგალიელ ფეხბურთელთან 4 წლიან კოტრაქტს მოაწეროს ხელი, წლიურად 28 მილიონი ევრო გადაუხადოს და 7 ნომრიანი მაისური ჩააბაროს.

პსჟ-ს ხელმძღვანელობა ზაფხულში ნამდვილი გადატრიალების მოხდენას გეგმავს, ვინაიდან მას ჩემპიონთა ლიგის მოგება სურს.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ძ-ნი მარიამი

შედეგები

10 მაისი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ვესტ ჰემი-მანჩესტერი 3:2

საატჩინო ცხრილი:

1.ლესტერი	37	23	11	3	67-35	80
2.ტოტენჰემი	37	19	13	5	68-30	70
3.არსენალი	37	19	11	7	61-36	68
4.სიტი	37	19	8	10	70-40	65
5.მანჩესტერი	37	18	9	10	46-34	63
6.ვესტ ჰემი	37	16	14	7	64-49	62
7.საუთჰემპტონი	37	17	9	11	55-40	60
8.ლივერპული	36	16	10	10	61-48	58
9.ჩელსი	36	12	12	12	57-51	48
10.სტოკი	37	13	9	15	39-54	48
11.სუონსი	37	12	10	15	41-51	46
12.ევერტონი	36	10	14	12	56-52	44
13.უოტფორდი	36	12	8	16	36-44	44
14.კრ.პალასი	37	11	9	17	38-47	42
15.ვესტ ბრომვიჩი	37	10	12	15	33-47	42
16.ბორნმუთი	37	11	9	17	44-64	42
17.სანდერლენდი	36	8	11	17	43-60	35
18.ნიუკასლი	37	8	10	19	39-64	34
19.ნორვიჩი	36	8	7	21	35-62	31
20.ასტონ ვილა	37	3	8	26	27-72	17

მოტანდია. პრემიერლიგა

დანდი-პარტიკი 3:3
ჰიბერნიანი-ფალკირკი 2:2

შვეიცარია. სუპერლიგა

ბაზელი-თუნი 1:1

პოლონეთი. ექსტრაჯლასა

გურნიკი-კორონა 0:0
იაგელონია-ტერმალიცა 0:1
ლეჩნა-პოდბესკიჟიე 5:1
ვისლა-სლასკი 1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

პრინცმა ჰარიმ ქველმოქმედების მიზნით პოლოში მიიღო მონაწილეობა

ბრიტანეთის პრინცმა ჰარიმ ქველმოქმედების მიზნით ორგანიზებულ პოლოს მატჩში მიიღო მონაწილეობა. დედოფალ ელისაბედ II-ს შვილიშვილი აშშ-ში ინვალიდი სამხედრო მოსამსახურეთა რიგით მესამე შეჯიბრზე დასასწრებად ჩავიდა.

ჰარი თავიდან ორლანდოში ჩავიდა, მეორე დღეს კი მახლობლად მდებარე ველინგტონში გაემგზავრა პოლოში საქველმოქმედო მატჩში მონაწილეობის მისაღებად.

საქველმოქმედო აქცია მიზნად ისახავდა თანხის შეგროვებას ორგანიზაცია სენტებელესთვის, რომლის ერთ-ერთ დამფუძნებელი თავად პრინცია. ეს ორგანიზაცია ლესოტოში შიდსით დაავადებულ ბავშვებს ეხმარება.

მატჩში პრინც ჰარის მეტოქე ცნობილი არგენტინელი მოთამაშე ნაჩო ფიგერასი იყო.

ელისაბედ II-ს ქუდების დიზაინერი დაიღუპა

დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ II-ს ქუდების დიზაინერი 96 წლის ასაკში დაიღუპა. ჰერტა გროუვზი ლონდონში სატვირთო მანქანის დაჯახების შედეგად დაიღუპა მას შემდეგ, როდესაც ის ვიგმორ-ჰოლში კონცერტიდან ბრუნდებოდა. ის შემთხვევის ადგილზევე დაიღუპა. ეს ჯერ კიდევ გასულ კვირას მოხდა, მაგრამ ინფორმაცია ამის შესახებ მხოლოდ ახლა გავრცელდა.

გროუვზი ავსტრიის დედაქალაქ ვენიდან იყო. ის ებრაულ ოჯახში დაიბადა და მეორე მსოფლიო ომის დროს დიდ ბრიტანეთში გაექცა ფაშისტებს.

დიზაინერის მამა ფილტვების ანთებისგან დაიღუპა მას შემდეგ, რაც იარაღის მუქარით ვენის ქუჩების თოვლისგან გაწმენდას აიძულებდნენ. გროუვზის დედა და და 1942 წელს ოკუპირებული ლატვიის ტერიტორიაზე საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპნენ.

ლონდონში დიზაინერმა საკუთარი ბიზნესი დაიწყო და მის კლიენტთა შორის იყო ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II.

საბერძნეთში ლტოლვილთა ბანაკში პირველი ქორწილი გაიმართა

საბერძნეთის დასახლება იდომენის მახლობლად მდებარე ლტოლვილთა ბანაკში პირველი ქორწილი გაიმართა. ერთმანეთს სიცოცხლის ბოლომდე სიყვარული და ერთგულება სირიელმა ლტოლვილებმა შეფიცეს.

საქორწინო ცერემონია ერთ-ერთ კარავში მოეწყო, ხოლო მის ორგანიზებაში ლტოლვილებს ბანაკის თანამშრომლები დაეხმარნენ. კერძოდ, მათ ახლად შეუღლებულებს ტორტი აჩუქეს.

როგორც სიძემ განაცხადა, მას იმედი ჰქონდა, რომ ახალ ცხოვრებას გერმანიაში დაიწყებდა და ვერ წარმოიდგენდა, თუ ქორწილს საბერძნეთში ლტოლვილთა ბანაკში გადაიხდიდა. წყვილი ლტოლვილთა ბანაკში ექვსი კვირით შეყოვნდა და გადაწყვიტეს, მეტს ვეღარ დაიცდიდნენ.

ბანაკის ერთ-ერთი მოხალისე თანამშრომლის თქმით, ამ ქორწილმა დაგვიდასტურა, რომ სიყვარული საზღვრებს არ ცნობს.

– ვერაფერი შეაჩერებდა სიცოცხლის ამ ზეიმს, – აღნიშნა, მან და დაამატა, რომ ბოლოს და ბოლოს, სიყვარული ამარცხებს ბოროტებას და ტერორისტულ დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოსაც“.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბრიტანელმა მსუქანმა კატამ წონაში დაიკლო

დიდ ბრიტანეთში მსუქანმა კატამ, სახელად ოლივერმა, თავისი ზედმეტი წონის მესამედი დაიკლო.

კატა ცხოველთა დაცვის სამეფო საზოგადოებაში ჯანმრთელობასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების გამო მიიყვანეს, ხოლო მისი ხანდაზმული პატრონი ცხოველის მოვლას თავს ვეღარ ართმევდა. იმ მომენტისთვის ოლივერის წონა თითქმის 10 კილოგრამს შეადგენდა, რაც ნორმას ორჯერ აღემატება.

კატას რეგულარული ვარჯიშები და დაბალკალორიული საკვები გამოუწერეს. ასეთი რეჟიმის წყალობით მან წონაში 2,7 კილოგრამი დაიკლო. ოლივერს ასევე ყურზე ოპერაცია გაუკეთდა.

ამჟამად კატისთვის ახალ პატრონს ეძებენ. ამასთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ოლივერი თავდაუზოგავად შრომობდა ზედმეტი წონის დასაგდებად და ახალ პატრონსა და ბინას სრულიად იმსახურებს.

ამერიკელი კატა მაგისტრ იოდს ჰგავს

აშშ-ში იპოვეს კატა, რომელიც მაგისტრ იოდს ჰგავს კოსმოსური საგადან „ვარსკვლავური ომები“. ის კენტუკიში კრისტიანის ოლქის ერთ-ერთ თავშესაფარში 2013 წლის აპრილიდან ცხოვრობს.

როგორ თავშესაფარში ვარაუდობენ, კატის უჩვეულო გარეგნობა სხვადასხვა ჯიშების შერევის შედეგს წარმოადგენს, მაგალითად, სფინქსის და კორნიშ-რეკსის.

მაგისტრ იოდის ორეული კატა ცხოველთა თავშესაფრის მუდმივი ბინადარი და თილისმაც კი გახდა. მას რაიმე მოვალეობის შესრულება არ ეკისრება, თუმცა დაწესებულების დირექტორის აირინ გრეის თქმით, ის რეგულარულად ნადირობს თაგვებზე.

გრეისი კატას „ბებერ სულს“ ეძახის და ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ ცხოველად მიიჩნევს მათ შორის, რომელთაც კი ის შეხვედრია.

ფილადელფიაში ლემურის ნაშიერები საზოგადოებას წარუდგინეს

ლემურ ვარის ოთხი ნაშიერი საზოგადოების წინაშე ფილადელფიის ზოოპარკში წარდგა. შავ-თეთრ ცხოველებს ჰქვიათ მედი, ლინკოლნი, ტედი და კუინსი.

ლემურები 21 თებერვალს დაიბადნენ. მათი დებიუტის დროს ისინი თავიანთ ვოლიერში დარბოდნენ და დახტოდნენ, დროდადრო კი ან ისხდნენ, ან ჩამოკონწიალებულები იყვნენ.

ლემურები ვარი კუნძულ მადაგასკარის მკვიდრები არიან. ეს სახეობა გადაშენების საფრთხის წინაშეა, ტყეების გაჩეხვისა და ბრაკონიერების მათზე ნადირობის გამო.

სპორტი

ლესტერი რანიერისთვის ახალ კონტრაქტს ამზადებს

მას შემდეგ, რაც ლესტერმა ინგლისის ჩემპიონატი სენსაციურად მოიგო, მისი მწვრთნელის, კლაუდიო რანიერის მიმართ ინტერესი გაიზარდა.

რანიერიმ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ სამწვრთნელო კარიერას ლესტერში დაასრულებს და სხვა გუნდებზე არ ფიქრობს.

როგორც ჩანს, ლესტერის ხელმძღვანელობაც იზიარებს რანიერის სურვილს და იტალიელ სპეციალისტს ახალ კონტრაქტს შესთავაზებს, რომლის დეტალებიც ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

ლესტერი მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს და რანიერის თქმით ის მოუთმენლად ელის იმ მომენტს, როდესაც თავის გუნდს ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირზე უხელმძღვანელებს.

დენი უელბეკმა სერიოზული ტრავმა მიიღო

არსენალის ფორვარდმა დენი უელბეკმა, რომელიც მოედანზე 2 თვის წინ დაბრუნდა, ახალი ტრავმა მიიღო. ეს მანჩესტერ სიტის წინააღმდეგ შეხვედრაში მოხდა, რომელიც ფრედ, 2:2 დასრულდა.

უელბეკს მუხლის ტრავმა აქვს, რომელიც სერიოზული გამოდგა და არსენალის ფორვარდს ოპერაცია დასჭირდება.

მოედანს უელბეკი დაახლოებით 8 თვის შემდეგ დაუბრუნდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მომავალი სეზონის პირველ ნახევარს მთლიანად გააცდენს.

დენი უელბეკი მანჩესტერ იუნაიტედის აღზრდილია, თუმცა მანჩესტერში ბოლომდე თავის დამკვიდრება ვერ შეძლო, რის შემდეგაც არსენალში გადავიდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი
12 მაისისთვის

ვერძი – იოლად არავის მიენდოთ, თორემ იმედი გაგიცრუვდებათ. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. თავი აარიდეთ შემთხვევით ნაცნობობას. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **კურო** – დღის პირველ ნახევარში წარმატებას მოგიტანთ ხელმძღვანელ პირებთან კონტაქტი, ასევე საქმიან პარტნიორებთან მოლაპარაკებები. კომერციული ოპერაციები სასურველ შედეგს გამოიღებს. **ტყუპები** – ბიზნესის დასაწყებად მშვენიერი პერიოდია. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა წარმატებული იქნება. **კირჩხიბი** – ფხიზლად იყავით. შესაფერისი დღეა აქტიური ინდივიდუალური მუშაობისთვის. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. **ლომი** – ყველანაირად აარიდეთ თავი ახალ ნაცნობებს, ნუ იაქტიურებთ. კომერციული ოპერაციები დღეს დაუშვებელია. **ქალწული** – თქვენი ეჭვიანი ბუნება ხელს გიშლით ყველაზე რეალური გეგმების განხორციელებაშიც კი. იყავით უფრო მიმნდობი და გჯეროდეთ ადამიანების. **სასწორი** – ფრთხილად იყავით, რისკი გამართლებული არ არის, თუმცა დღეს, შესაძლოა, ოცნება აგიხდეთ. მიხედეთ ჯანმრთელობას. **ღრიანკალი** – ემოციები მოთოკეთ, ნერვებს ნუ აჰყვებით. ახალი საქმის დაწყება დღეს არ ღირს. ნურაფერს დაგეგმავთ. **მშვილდოსანი** – დაწყებული საქმის დამთავრებას სამომავლოდ ნუ გადადებთ. პირად ცხოვრებაში ყველაფერი ბრწყინვალედ გაქვთ. **თხის რქა** – აქტიურად დაისვენეთ. საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. განმარტოება დიდ სულიერ სიმშვიდეს მოგგვრით. **მერწყული** – ნათესავებთან კონფლიქტი გელით. დღეს, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გაკვეთილი მიიღოთ. მიწაზე დაეშვით და მოვლენები რეალურად შეაფასეთ. **თევზები** – მნიშვნელოვანი ცვლილებების დროა. მთავარია, მიზნისკენ სწრაფვა არ შეანელოთ. წარმატებული დღე გექნებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი საფრანგეთში; 2. ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა; 3. ოქროს ან ვერცხლისგან დამზადებული სახელურიანი ღვინის სასმისი; 4. სხეულთა მოძრაობის კანონების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 7. მსხვილი მემამულე ინდოეთში; 8. ანსამბლ „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 12. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი; 14. ცნობილი იაპონელი კინორეჟისორი; 16. უღელტეხილი აჭარაში; 17. პეკინის ისტორიული სახელწოდება; 19. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური იაპონიაში; 20. საქართველოში გავრცელებული ვაზის ფრანგული ჯიში.

თარაზულად: 5. ყველაზე წვრილი ფული ბრიტანეთში; 6. ქართული გაზეთი; 9. მომღერალთა გუნდი; 10. მეთევზეთა, მეზღვაურთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 11. სახალხო მთქმელი შუა აზიაში; 13. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 15. დედამიწის არქტიკული სარტყლის უტყეო, მარად ყინულოვანი ზონა; 18. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 21. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 22. საკვების ულუფა, ნორმა გარკვეული ვადისთვის; 23. ქვის ხანის უკანასკნელი ეპოქა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად; 1. ვიგვამი; 2. დიოგენი; 3. ალკენი; 4. წყრთა; 5. დელაკრუა; 7. კია; 11. მაინცი; 15. ვოლიერი; 16. ყომარი; 17. გონიო; 18. ფობია; 20. გინზა; 22. მარი.

თარაზულად: 6. იგრიკა; 8. შინშილა; 9. ბარნელა; 10. ვახშამი; 12. ხუნდი; 13. არაკი; 14. ბარიტონი; 19. ფალანგა; 21. ხორუმი; 23. ოსუმი; 24. ფიგარო; 25. ტრუიზმი; 26. ბახთიარი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კანკავა; 2. მახვში; 3. გალენიტი; 4. სინკლიტი; 7. ბანდერასი; 8. სიტროენი; 12. ტაშკენტი; 14. ესტაკადა; 16. კალანდა; 17. ზუგდიდი; 19. ზებუ; 20. ორდუ.

თარაზულად: 5. ნაფტუსია; 6. ტრაიდენტი; 9. ფატიმა; 10. შამანი; 11. სტეპი; 13. ფარსი; 15. ასკანა; 18. ვაისი; 21. რაიკონენი; 22. ნეკრესი; 23. ყუმბარა.

VOGUE-ის 5 რჩეული ქართველი მოდელი დაასახელა

თბილისში გამართულ მერსედეს ბენცის მოდის კვირეულზე მსოფლიოს წამყვანი მოდის კრიტიკოსები, მიმომხილველები და ბაერები ჩამოვიდნენ.

სამოდელო ბიზნესში ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ჟურნალმა ვოგმა პოდიუმზე გამოსული ქართველი მოდელებიდან თავისი რჩეული ხუთეული დაასახელა.

ესენი არიან ელენე მახარაშვილი, ლიკა რიგვავა, მარიამ სანოგო, თათია ახალაია და მარიშა ურუშაძე.

10 გრემის მფლობელი ჯგუფი თბილისში ჩამოდის

10 გრემის მფლობელი ჯგუფი „თეიქ სიქსი“ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ თბილისში ბრუნდება. ჯგუფი ჯანსუღ კახიძის სახელობის მეორე საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალს გახსნის.

ფესტივალი შარშან დაფუძნდა დიდი ქართველი დირიჟორის ჯანსუღ კახიძის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით და ის მიზნად ისახავს ჯაზის მსოფლიო ვარსკვლავების შემოქმედებით სინთეზს თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან და ასევე, იმ მნიშვნელოვანი მონაპოვრების წარმოჩენას მსოფლიო კლასიკური თუ ქართული მუსიკიდან, რომლებიც ახლოს დგას პოპულარულ ჟანრთან.

წელს ქართველ მსმენელს შესაძლებლობა ეძლევა მოუსმინოს ლეგენდარულ ჯაზ ვოკალურ ანსამბლს თეიქ სიქსს ამერიკიდან და ჯაზ ვარსკვლავს, კომპოზიტორს, მომღერალსა და პიანისტს ივან ლინს ბრაზილიიდან. უცხოელ ვარსკვლავებთან ერთად ფესტივალში მონაწილეობენ ქართული ანსამბლები, რაც საშუალებას აძლევს მსმენელს, კიდევ ერთხელ ეზიაროს ქართული ხალხური მუსიკის უნიკალურ იმპროვიზაციულობას და ფესტივალის დასასრულს დაესწროს კონცერტს, რომელშიც გაჟღერდება ჯანსუღ კახიძის ყველასთვის საყვარელი სიმღერები.

ფესტივალის ფარგლებში ფოლკლორის მოყვარულებისთვის იმღერებენ ანსამბლები „რუსთავი“, „ბასიანი“, „გეორგიკა“, დიდგორი“, „სახიობა“ და „კვირია“.

ფესტივალი 12 მაისს გაიხსნება და 25 მაისს საზეიმოდ დაიხურება.

„ვეფხისტყაოსანი“ კორეულ ენაზე გამოიცა



შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ პირველი ქართული ნაწარმოები გახდა, რომელიც კორეულ ენაზე ითარგმნა.

კორეის ქალაქ სეულის იონსეის უნივერსიტეტის პროფესორის, ჩო ჯუ-კვანის მიერ კორეულ ენაზე ნათარგმნი შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ გამოიცა.

ჩო ჯუ-კვანი ქართულ ნაწარმოებზე 10 წლის მანძილზე მუშაობდა. „ვეფხისტყაოსანი“ კორეულ ენაზე ნათარგმნი პირველი ქართული ლიტერატურული ნაწარმოებია. პროფესორი ჩო ჯუ-კვანი ახლო მომავალში „ვეფხისტყაოსანზე“ საკუთარი კვლევითი ნაშრომის გამოქვეყნებას გეგმავს. ნაწარმოების თარგმნის პროცესში კორეელ პროფესორს კონსულტაციებსა და დახმარებას აღმოსავლეთმცოდნე, პროფესორი გურამ ჩიქოვანი და სეულის ჰანკუკის უცხო ენათა უნივერსიტეტის ქართველი მაგისტრანტი, რუსუდან ფირცხალავა უწევდნენ.

„ვეფხისტყაოსნის“ კორეულ ენაზე გამოცემა კორეის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს დახმარებით განხორციელდა.

გენერალ გიორგი კვიტინაძის პორტრეტი ესპანელი მწერლის კოლექციაში მოხვდა

მადრიდის სანტა ბარბარას სასახლეში ქართველი გენერლის გიორგი კვიტინაძის პორტრეტი გამოიფინა. მისი ავტორი სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის ასისტენტი თორნიკე ტყემალაძეა.

ცნობილი ქართველი მხედართმთავრის პორტრეტი ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ხორხე მარია დიაზმა მოიწონა. ის გენერლის ბიოგრაფიით განსაკუთრებით დაინტერესდა. ნამუშევრით აღფრთოვანდა ცნობილი ესპანელი მწერალი და ისტორიკოსი ლუკას მოლინა, რომელმაც გენერალ კვიტინაძის მოღვაწეობა ასე შეაფასა:

– გენერალი, რომელიც საქართველოს თავისუფლებისა და ქართველთა მებრძოლი სულის თავისებური სიმბოლოა.

მწერალმა ახალგაზრდა ქართველი მხატვრის ნამუშევარი საკუთარი კოლექციისათვის შეიძინა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჩინეთის პარკში დათვმა კანოეთი სეირნობა ისწავლა

ჩინეთში მდებარე ერთ-ერთ საფარი პარკში ტაივანურმა შავმა დათვმა კანოეთი სეირნობა ისწავლა. ადგილობრივი პრესის წარმომადგენლებმა ამ მოვლენას „ევოლუცია“ უწოდეს, ხოლო თავად ცხოველს ჭკვიანი მტაცებელი.

შესაძლოა დათვს სურდა დაესვენა ან საკუთარი ნავი ჩაეგდო ხელთ, თუმცა კანოეში ჩაჯდომა არც ისე იოლი აღმოჩნდა.

ამ პროცესს თვალს ადევნებდნენ იუნჩუანის საფარი-პარკის თანამშრომლები. მათ მიერ გადაღებული ფოტოსურათების თანახმად, დათვს გარკვეული დრო დასჭირდა ნავში ჩასაჯდომად.

კანოეში ჩაჯდომის შემდეგ დათვი აშკარად ნასიამოვნები იყო. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ნავი წყლით გაივსებოდა. ამის შემდეგ დათვი იძულებული გახდა, ნავი მიეტოვებინა და თავის ჩვეულ ცხოვრებას დაბრუნებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ტარიელ რეხვიაშვილი

(1937-2016)

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ტარიელ რეხვიაშვილი. მისი გარდაცვალების სახით ქართულმა ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიამ და მთელმა ქართველმა ფილოსოფიურმა საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა. იგი ეკუთვნოდა ქართველ ფილოსოფოსთა იმ თაობას, რომელიც აქტიურად იბრძოდა ქართული ფილოსოფიური აზროვნების პრესტიჟის დასაცავად და მის შემდგომ ასამაღლებლად. პროფ. ტარიელ რეხვიაშვილი ავტორია მრავალი მეცნიერული გამოკვლევისა, განსაკუთრებით დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის ფილოსოფიური საფუძვლების კვლევის დარგში; მისი სადოქტორო დისერტაციაც სწორედ ამას მიეძღვნა.

განსვენებული მრავალი წლის მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, როგორც მისი ერთ-ერთი გამოჩენილი პროფესორი და საზოგადო მოღვაწე. იგი იყო საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი აქტიური წევრი, მისი მშვენება. მისი გარდაცვალება მძიმე დანაკლისია ამ აკადემიისათვის და არა მარტო მისთვის.

ტარიელ რეხვიაშვილი იყო არაჩვეულებრივად კეთილი ადამიანი, თავმდაბალი, უპრეტენზიო, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო მეგობრებსა და კოლეგებს შორის, არამედ მთელ ქართველ ფილოსოფიურ საზოგადოებრიობაში. იგი იყო ნიმუში ადამიანობისა. სწორედ ამიტომ მისი ხსოვნა და მეცნიერული ღვაწლი დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და მოწაფეების მეხსიერებაში. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ამ აკადემიის მთელი შემადგენლობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი

გამოვთქვამთ მწუხარებას

ნოდარ (ტარიელ) რეხვიაშვილის

გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობთ გარდაცვლილის ოჯახს.

თანაკურსელები — კოტე ჩიქობავა, გურამ კვიკვინია

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

კონსულტაცია უფასოა!

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

TV პროგრამა

ხუთშაბათი 12 მაისი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.30 "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "ამერიკული ოდისეა" **12.30** "ტრანსმისია" **13.00** ტ/სერ. "**ჩანტრ ვეტრინე**" **14.05** "წიგნების თარო" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.40** "ინტერვიუწ" – სალომე ასათიანთან ერთად **21.10** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე **22.00** დ/ფ "თოფგიარი" **23.00** "ევროვიზია **2016**" – II ნახევარფინალი **01.10** მხ/ფ "**ბურის დღე**" **03.30** "პირადი ექიმი"

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **11.00** დ/ფ "ევროპის შუაგულში" **13.00** დ/ფ "კაპურის მიერ დანახული სამყარო" **14.00** დ/ფ "ბავშვობის შავი ლაქები" **16.00** დ/ფ "მონდრეანის სახელოსნოში" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

06.00 სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.00** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბაგის ვალი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პაპარაკალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** იმედის დრო **02.00** მხ/ფ "**ჩემი როლი სხვორებაში**" **04.15** მხ/ფ "**ფორესტ გამპი**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადა - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საბა**" **18.45** სერ. "**შენ, ჭოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** პროფილი **00.00** P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "**ავაბარი - ლეგენდა აანგის შესახებ**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 3.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** სერ. "**ნამდვილი დეტექტივი**" **23.45** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორგლებზე**" **0.45** მხ/ფ "**ჯენტლმენთა თამაშები**" **2.30** URBAN STORIES

06.15 ჩვენი ფონდი **06.40** პატერიკი **06.50** დეკორატიული ფლორა **07.05** ქართული ალბომი **07.50** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**პარასერიოზული კაცი**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა **15.05** ევერიის ეკლესია **15.20** ქართ. ან/ფ **15.50** ჩვენი ფონდი **16.20** კონცერტი "გორდელა" **17.35** დ/ფ "ნარკომანია-თავისუფლება თუ მონობა" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.00** დ/ფ **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** თვენი **21.30** ლექციები მეფუტკრეობაზე **21.45** ფსალმუნის განმარტება **22.00** სიახლენი **22.25** დ/ფ "ანდრია პირველწოდებულის შემოსვლა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ "ნარკომანია-თავისუფლება თუ მონობა" **00.25** ისტორიის დღიური **01.25** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ბუმტუკები"-**33** (ფესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05,** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 15.30, 1.00** სერ. "**ფფარველი ანგელოზი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ფართოა მდინარე**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**უსტო**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

12 მაისისთვის

აშშ დოლარი — 2.2134	ევრო — 2.527
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2072	100 რუსული რუბლი — 3.3432

ამინდის პროგნოზი 12 მაისისთვის

13 მაისიდან
მამუკა გორგოძე

ფერადი ილუსტრირებული წიგნი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენის, მორაგბე მამუკა გორგოძის პირად და სპორტულ ცხოვრებას ასახავს.

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი



10 მაისიდან
ანა ფრანკის დღიური

ოქროს ბიბლიოთეკა
ტომი 2

წიგნისა და გაზეთის ფასი 10 ლარი

12 მაისიდან
ტიმ სევერინი

მსოფლიოში ცნობილი ბრიტანელი მკვლევარი, ისტორიკოსი და მწერალი ტიმ სევერინი 1984 წელს თანამედროვე არგონავტებთან ერთად საბერძნეთიდან თურქეთის გავლით, 12-ნიჩბიანი ხომალდით კოლხეთისკენ გამოემგზავრა.

მისი მიზანი იყო დაემტკიცებინა, რომ 3.000 წლის წინ იასონის მეთაურობით დაწყებული მოგზაურობა ოქროს საწმისის მოსაპოვებლად ფიზიკურად შესაძლებელი იყო.

„იასონის მოგზაურობა“ სწორედ სევერინისა და თანამედროვე არგონავტების საბერძნეთიდან საქართველომდე მოგზაურობას ასახავს.

იასონის მოგზაურობა

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

იუმორი

●●●

ქუჩაში ბავშვს ეკითხებიან:

– შენ შემთხვევით ზაურიეს ბაღანა ხომ არა ხარ?

– ზაურიეს ბაღანა კი ვარ, მაგრამ შემთხვევით თუ ვიყავი, მაი არ ვიცოდი...

●●●

ერთი ექიმი მეორეს ეუბნება:

– პაციენტს თვალები დაწითლებული და დასიებული აქვს, ასევე თავბრუსხვევის ჩივილები.

– გაზაფხულის ალერგია?

– არა, ულიმიტო ინტერნეტი...

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– აუ, მგონი ისევ მოვიმატე.

– კარგი, ნუ ნერვიულობ, იდეალური პარამეტრები გაქვს!

– მართლა?

– აბა რა! 90-120-176, როგორც თოვლის კაცს!

●●●

მიმდინარეობს წვრთნები პარაშუტით ხტომაში. უფროსი ჯარისკაცს გადახტომას უბრძანებს.

– ბატონო ოფიცერო, უკვე სამი ნახტომი მაქვს გაკეთებული და პარაშუტი ერთხელაც არ გახსნილა. აღარ გადავხტები, – პასუხობს ჯარისკაცი, მაგრამ ხელი სტაცეს და ძალით გადმოაგდეს თვითმფრინავიდან.

ამ დროს ფერმის უფროსი თათბირს ატარებს და თანამშრომლებს ეუბნება:

– ასე გაგრძელება აღარ შეიძლება! ძროხები მოუწველავია, მწველავები დეკრეტულში არიან, ტრაქტორისტები, სულ მთვრალები ყრიან...

ამ დროს შენობის სახურავი ჩამოინგრევა და ჯარისკაცი იატაკზე მოადენს ბრახვანს. ფერმის უფროსი შეწუხებული ხმით:

– ამ პარაშუტისტმა ხომ სახურავი აღარ დაგვიტოვა მთელი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მადონამ თავის ახალ კოლექციას პოლიტიკური განცხადება უწოდა

მომღერალმა მადონამ თავის ახალ ეროტიკული სტილის ჩასაცმელებს პოლიტიკური განცხადება უწოდა.

ნიუ-იორკში კოსტუმების ამერიკული ინსტიტუტის წარმოდგენა გაიმართა. ეს აშშ-ში მოდის უმთავრეს მოვლენას წარმოადგენს. ღონისძიებას მრავალი ცნობილი პიროვნება ესწრებოდა, მათ შორის, მადონაც.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ყველა ონლაინ-კრიტიკოსს არ შეუფასებია მომღერლის არჩევანი, რაზეც მადონამ განაცხადა, რომ მისი ჩასაცმელები იყო არა მხოლოდ მოდური, არამედ ერთგვარი პოლიტიკური განცხადება.

მომღერლის თქმით, შეხედულება, რომლის თანახმადაც ქალს უფლება არ აქვს წარმოაჩინოს საკუთარი სექსუალურობა და იყოს უფრო თამამი გარკვეული ასაკის შემდეგ, იმაზე მიუთითებს, რომ „ჩვენ კვლავაც ვცხოვრობთ საზოგადოებაში, სადაც არსებობს ეიჯიზმი (ასაკობრივი დისკრიმინაცია) და სექსიზმი“.

მადონამ ხაზი გაუსვა, რომ არასოდეს აზროვნებდა შეზღუდულად და ამას არც შემდგომში აპირებს. გარდა ამისა, მან ყველას მოუწოდა, შემოუერთდნენ სქესთა თანასწორობისთვის ბრძოლაში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რეალი ხამესის გაყიდვას აპირებს

კოლუმბიელი ფორვარდის ხამეს როდრიგესის რეალიდან წასვლაზე ბოლო პერიოდში საკმაოდ ბევრი იწერება. ხამესი არცთუ ხშირად ხვდება რეალის ძირითად შემადგენლობაში და ზიდანი მასზე აქცენტს არ აკეთებს. ამის გამო ხამესის წასვლა მადრიდიდან საკმაოდ რეალურია და მას ბევრი მსურველიც ჰყავს.

განსაკუთრებით ინგლისური გუნდები აქტიურობენ – მანჩესტერ სიტი და არსენალი. თუმცა არსებობს ერთი დაბრკოლება, რაც ხამესის სატრანსფერო ფასს ეხება. რეალმა 2 წლის წინ ხამესში 80 მილიონი ევრო გადაიხადა და ამ თანხაზე ნაკლებად მისი გაყიდვა არ სურს, ინგლისელები კი 50 მილიონ ევროზე მეტის გადახდას არ აპირებენ, ამიტომ ხამესის ტრანსფერი შეიძლება ჩაიშალოს.

დენის სუარესი ბარსელონაში გადადის

ვილიარეალის შემტევი ნახევარმცველი დენის სუარესი ბარსელონაში გადასვლასთან ახლოს არის. როგორც ესპანური პრესა იტყობინება, ვილიარეალი და ბარსელონა უკვე თითქმის შეთანხმდნენ ამ ტრანსფერზე და ზაფხულში სუარესი ოფიციალურად ბარსელონას ფეხბურთელი გახდება.

სატრანსფერო თანხა ჯერჯერობით არ სახელდება.

დენის სუარესი 22 წლის არის და ესპანეთში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდა ნახევარმცველად ითვლება.

ბარსელონა მას დიდი ხნის მანძილზე აკვირდებოდა და ეს ტრანსფერი მოსალოდნელი იყო.

კუენკა ბარსელონას კარში გოლის გატანას შეეცდება

ისააკ კუენკა, რომელიც წლების წინ ბარსელონას ფეხბურთელი, იყო ამჟამად გრანადას ღირსებაც იცავს და მისი გუნდი ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში ბარსელონას დაუპირისპირდება.

ეს მატჩი ბარსელონასთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მოგების შემთხვევაში ის ესპანეთის ჩემპიონები ხდება, გრანადას კი არავითარი სატურნირო მოტივაცია არ აქვს. მიუხედავად ამისა, კუენკამ საკმაოდ საინტერესო განცხადება გააკეთა და თქვა, რომ სურვილი აქვს, ბარსელონას ბოლო წუთზე გაუტანოს გოლი.

კუენკას თქმით, ბარსელონას კარში გატანილი გოლი ყოველთვის განსაკუთრებულია. ისააკ კუენკამ ბარსელონაში 3 წელიწადი გაატარა და კატალონიური გუნდი 2014 წელს დატოვა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოიდი ১



შვეულად: 1. ინკუბატორში გამოჩეკილი წიწილების გამოსაზრდელი მოწყობილობა; 2. ზღვისპირა კურორტი ლიტვაში; 3. რაიმეს არასრულფასოვანი შემცველი, სუროგატი; 4. მაღალყელიანი ფეხსაცმელი; 5. ამირანის პროტოტიპი აფხაზურ ფოლკლორში; 7. იტალიური ტელეკომპანია; 11. მოთელილი მატყლისგან დამზადებული თბილი მოსასხამი; 15. ოქროს ფერში ამოვლებული ძაფი; 16. ამერიკელთა მეტსახელი ლათინურ ამერიკაში; 17. ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო კულტურა; 18. გრძელყელიანი გოგრის ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ ქვევრიდან ღვინის ამოსაღებ ჭურჭელს; 20. წყლის საქაჩი მოწყობილობა; 22. ხმელთაშუა ზღვისპირა კურორტი საფრანგეთში.

თარაზულად: 6. ქვის, ღორღის დამაქუცმაცებელი მექანიზმი; 8. იაფფასიანი ადგილი თეატრში; 9. ზოგიერთი მცენარის მიერ გამოყოფილი ტკბილი წვენი; 10. ძვლისმაგვარი ნივთიერება, კბილის შემადგენელი ნაწილი; 12. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 13. ხელოვნური სარწყავი არხების სახელწოდება შუა აზიაში; 14. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 19. ანგლიკანური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი; 21. ბოშათა წინამძღოლი; 23. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების წევრი; 24. შეწეული სტრიქონი ტექსტში; 25. მათემატიკის ნაწილი; 26. მოწინავე პოზიცია.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა